პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 237 (10631) | ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარია შრომის ნაყოფიერების ამაღლება

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც უმაგალითო იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას.

ლენინის ამ მეცნიერულ განჭვრეტას ადასტურებს სოციალისტური მშენებლობის მრავალი წლის პრაქტიკა. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპით საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებზე წინ არის. მეოთხედ საუკუნეში, 1928 წლიდან 1953 წლამდე, შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში დაახლოებით ექვსჯერ გაიზარდა.

დიდია ჩვენი წარმატებანი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ისინი საბჭოთა ხალხს ვერ დააკმაყოფილებენ. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების დონით ჩვენ დავეწიეთ დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში ჩვენ ისტორიულად უმოკლეს ვადაში უნდა გადავჭრათ ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებაში. ამ ისტორიული ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა კვლავაც განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულია, რომ მეექვსე ხუთწლედში დაახლოებით 65 პროცენტით უნდა გადიდდეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რაც უმთავრესად შრომის ნაყოფიერების გადიდებით იქნება მიღწეული.

სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

თავდადებულმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის საწარმოებში მუშათა შრომის ნაყოფიერება 1955 წლის პირველ ნახევართან შედარებით 8,6 პროცენტით გადიდდა. ხოლო იმ საწარმოთა კოლექტივებმა, სადაც ენერგიულად იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, მაქსიმალურად იყენებენ მოწყობილობას, კიდევ უფრო კარგ შედეგებს მიაღწიეს. მაგალითად, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ შრომის ნაყოფიერების 8 თვის გეგმა 107,2 პროცენტით შესრულა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშათა შრომის ნაყოფიერება 18,5 პროცენტით გაადიდა. მეტეხის აგურის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების დახმარებით უკანასკნელ ორ წელიწადში მრავალი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიება განახორციელა საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით დიდი ნაყოფი გამოიღო ცვლილებამ აგურის გამოწვის ტექნოლოგიაში, რომელიც წელს განხორციელდა. ყოველივე ამის შედეგად ქარხანამ შრომის ნაყოფიერების 8 თვის გეგმა 119,4 პროცენტით შესრულა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშათა შრომის ნაყოფიერება 33,9 პროცენტით გაიზარდა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივი. მიმდინარე წელს დიდი ყურადღება ექცევა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხს. ახლა ავტომატიზებულია საწვავის კასრების შედუღების ყველა პროცესი. ამის მეოხებით მუშათა შრომის ნაყოფიერება ერთისამად გადიდდა. ოსტატ ვ. ოსიპოვის უბანზე ამჟამად თვეში ამზადებენ 2.500 კასრს ნაცვლად 800 კასრისა. ამ ცოტა ხნის წინათ ოსტატმა გასანჯალოვმა გამოიგონა ორიგინალური აპარატი კასრების ყელის შესადუღებლად, რომელიც ოთხი კვალიფიციური შემდუღებლის შრომას ცვლის. ამ აპარატით მუშა ცვლაში აწარმოებს 200 შედუღებას ნაცვლად 50-ისა. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის ასეთი ფაქტები ბევრია ჩვენი რესპუბლიკის სხვა საწარმოებშიც.

მაგრამ არიან საწარმოები, სადაც ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, ნაკლებად ზრუნავენ წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, მაქსიმალურად ვერ იყენებენ არსებულ ტექნიკას. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა საუკეთესო ტექნიკით, ძირითადად ავტომატურად მოქმედი აგრეგატებით არის აღჭურვილი. საწარმოს კოლექტივმა გადიდებული ვალდებულებები იკისრა, მაგრამ ეს ვალდებულებანი შეუსრულებელი დარჩა. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა მხოლოდ 38,6 პროცენტით შეასრულა. ქარხნის ზარალი ამ ხნის განმავლობაში 10 მილიონ მანეთს აღწევს. ეს იმის შედეგია, რომ საწარმოში ძალიან დაბალია მუშათა შრომის ნაყოფიერება.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებს აქვთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების შესაძლებლობანი. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ბეჯითად გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ წარმოების უმდიდრესი შიდა რეზერვები, რომლებიც ჩვენს საწარმოებს მოეპოვებათ. უწინარეს ყოვლისა, ყველგან უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფართოდ დაინერგოს ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები, განვახორციელოთ მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, სწორად მოვაწყოთ მუშათა შრომა, უზრუნველვყოთ მათი ტექნიკური და კულტურული დონის, მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლება.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებშიც ფართოდ გაჩაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა კოლექტივებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და თავდადებით იბრძვიან მათი განაღდებისათვის. ახლა მთავარია პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მხარი დაუჭირონ ნოვატორთა თაოსნობას, კიდევ უფრო ფართოდ გაავრცელონ მათი გამოცდილება მასებში. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გაძლიერდეს ბრძოლა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, გაბედულად გამოვაამჟღავნოთ და აღმოვფხვრათ ისინი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული ტექნიკა, სისტემატურად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება და უზრუნველვყოთ მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენს დიად სამშობლოში

ომსკი. ამას წინათ აქ ჩამოვიდა ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი რუჟიცა გლავინიჩი. მეცნიერი დაწვრილებით გაეცნო ციმბირის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მუშაობას, ინახულა ყამირ მიწებზე მოწყობილი საბჭოთა მეურნეობები.

სურათზე: ინსტიტუტის სავეგეტაციო სახლი. მარცხნიდან მარჯვნივ — მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი ტ. გ. ფილიმონოვა, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის მეცნიერი თანამშრომელი რ. ა. აბსალიამოვა და რუჟიცა გლავინიჩი.

ფოტო ვ. ლიპოვსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სატრიკოტაჟო წარმოების ახალი ტექნიკა

სატრიკოტაჟო მრეწველობაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ახალ ტექნიკას. უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით შემოღებულია წინდის საქსოვი ერთპროცესიანი ავტომატები, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას 60-70 პროცენტით ადიდებენ, და სხვა გაუმჯობესებული მანქანები.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და მანქანათმშენებელი სამინისტროს ტექნიკურმა კომისიამ სერიული წარმოებისათვის მიიღო მთელი რიგი ახალი სახეობანი დიდი წარმადობის მოწყობილობისა სატრიკოტაჟო საწარმოებისათვის. ახალ მანქანებს შორის არის სატრიკოტაჟო ნაწარმის დასამზადებელი მრავალსისტემიანი მანქანა. წარმადობა ასეთი მანქანებისა, რომლებსაც ლენინგრადის ქარხანა „ვულკანი“ ამზადებს, ორნახევარჯერ აღემატება ასეთივე ტიპის ძველი მოწყობილობის წარმადობას.

საწარმოთა შესაიარაღებლად მიღებულია აგრეთვე ამავე ქარხნის მიერ დამზადებული ქსელსაქსოვი სამსავარცხლიანი მანქანა. იგი შესაძლებელს გახდის ზედა ტრიკოტაჟისათვის სხვადასხვა მოხატულობის ტილოს დამზადებას, უზრუნველყოფს უფრო მტკიცედ ნაქსოვი აბრეშუმის სასაცვლე ნაწარმის გამოშვებას.

მთავრდება მუშაობა ახალი ავტომატებისა და ნახევრადავტომატების შექმნისათვის, რომლებითაც შეიძლება გამოშვებულ იქნას საცალო სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმი ისე, რომ საჭირო არ იყოს წინასწარ გამოჭრა და შეკერვა. წარმადობა ერთიორად გაიზრდება. (საკდესი).

★ ★

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ტიუმენის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ ტიუმენის ოლქის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებსა და ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის 38,5 მილიონი ფუთი პურის ჩაბარებისა და მიყიდვის ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას და რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი მომავალშიც უფრო მეტი ენერგიით და სიმტკიცით იშრომებენ იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ჩელიაბინსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა შეასრულეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში, მნიშვნელოვნად გაადიდეს ნათესი ფართობები, მოიყვანეს მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ წელს სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ 90 მილიონი ფუთი პური.

სამხრეთი ურალი — ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო ცენტრი, ახლა გახდა აგრეთვე დიდი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელსაც დიდი რაოდენობით მოყავს სასაქონლო პური.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ჩელიაბინსკის ოლქის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს ულოცავენ მიღწეულ წარმატებებს და რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, რძის, ხორცის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ კუიბიშევის ოლქის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს სახელმწიფოსათვის 47 მილიონი ფუთი პურის ჩაბარებისა და მიყიდვის ვალდებულებათა შესრულებას.

აღნიშნავენ რა პურის წარმოებისა და დამზადების გადიდების საქმეში ოლქის მშრომელთა წარმატებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იმედოვნებენ, რომ ისინი კვლავაც კიდევ უფრო ბეჯითად, შეუნელებელი ენერგიით იშრომებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სურსათისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის სიუხვის შექმნისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ნავთობის ახალი საბადოები

გურიევი. (საკდესი). ნავთობიანი ემბის გეოლოგებმა ყაზახეთის ნავთობის საძიებო ტრესტის მბურღავებთან თანამშრომლობით აღმოაჩინეს ნავთობის ახალი საბადო — ტაჟიგალი. იგი 25 კილომეტრზეა ნავთობსარეწ კარატონის სამხრეთ-დასავლეთით. ნავთობიანი ფართობი ამ ცოტა ხნის წინათ კასპიის ზღვის ფსკერი იყო.

გაბურღულია პირველი ორი ჭაბურღილი, იბურღება კიდევ სამი. ერთ-ერთ ჭაბურღილში ნავთობის შადრევანმა ამოხეთქა. მისი სიღრმე 1.133 მეტრი.

ესტონეთის სსრ. ტალინის სათევზაო ნავსადგურში ყოველდღე მოდის თევზით დატვირთული გემები. ამ თევზს ესტონელი მეთევზეები ღია ზღვაში იჭერენ.

ეს ნავსადგური დაახლოებით სამი წლის წინათ შეიქმნა. ახლა იგი ერთსა და იმავე დროს 10-ზე მეტ დიდ და საშუალო თევზსაჭერ გემს იღებს.

სურათზე: ახალი გემ-რეფრიჟერატორის „რრ-1282“ განტვირთვა ტალინის სათევზაო ნავსადგურში. გემმა ახალი თევზი მოიტანა კუნძულ საარემაას მეთევზეებისაგან.

ფოტო ვ. გორბუნოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სამჭედლო წარმოების მექანიზაცია

სვერდლოვსკი. (საკდესი). ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო-საწნეხო საამქროს კოლექტივი შრომობს სამჭედლო საქმის კომპლექსურ მექანიზაციაზე. აქ კარგი სახელი აქვთ საჭედ მანიპულატორებს ანუ „მექანიკურ მჭედლებს“, როგორც მათ მანქანათმშენებლები ეძახიან. ეს ორიგინალური მექანიზმი, რომელიც ქარხნის ნოვატორებმა შექმნეს, ადვილად და სწრაფად აწვდის უროს ვეებერთელა გავარვარებულ ზოდებს და აბრუნებს მათ ჭედვის პროცესში. მანიპულატორების ამუშავებით მჭედელთა მძიმე შრომა მექანიზებულია. უროს მომსახურე ბრიგადის შემადგენლობა 8-დან 4 კაცამდე შემცირდა, ბრიგადის ნაყოფიერება კი გადიდდა.

დადგა საკითხი, როგორ შეემსუბუქებინათ უროს მემანქანის შრომა. ამოცანა გადაწყვიტა საამქროს უფროსმა ოსტატმა ა. შესტაკოვმა. მან გააკეთა უროს ავტომატურად სამართავი პატარა მექანიზმი. მექანიზმს ორი სიჩქარე აქვს, რომლითაც შესაძლებელია უფრო სწრაფად ან უფრო ნელა ჭედვა. ამჟამად მემანქანეს აღარ სჭირდება წამდაუწუმ დააწვეს მართვის ბერკეტს, ეს ავტომატურად ხდება.

დიდ დაძაბვას მოითხოვდა ლითონის ნამზადის ჩასმა კარუსელურ გასახურებელ ღუმელში და იქიდან უკვე გავარვარებული ზოდების გამოტანა. ოსტატმა მ. ბახტეევმა გააკეთა სამარჯვი, რომლითაც ეს ოპერაციები მექანიზებულია.

დიდი დრო სჭირდებოდა რთული კონფიგურაციის დეტალების ნავთობსაბურღავი დანადგარების ჯვარედთა გამოჭედვას. ჯერ უროს ამწით აწვდიდნენ და დებდნენ რგოლისებრ შტამპს, შემდეგ 13-ფუთიან ნამზადს. ჭედვის შემდეგ ისინი აგრეთვე ცალცალკე გამოჰქონდათ. მჭედელმა ტ. ოლეინიკოვმა ამ ოპერაციისათვის გიგანტური ნიჩაბი შექმნა. ამ ნიჩაბზე ერთსა და იმავე დროს დებენ შტამპსა და ნამზადს. ნიჩაბს უროს ქვეშ მანიპულატორით დებენ. ნიჩაბზე წარმოებს დეტალის გამოჭედვა. პროცესი რამდენჯერმე დაჩქარდა.

ურალელმა მჭედლებმა ამოცანად დაისახეს უახლოეს ხანშივე მოახდინონ თავიანთ საამქროში ყველა საწარმოო ოპერაციის მექანიზაცია. მექანიზმებმა, განსაკუთრებით საჭედმა მანიპულატორმა და უროს ავტომატურმა მართვამ, რაც მათ შექმნეს, დიდი ინტერესი გამოიწვია მანქანათმშენებლებში.

ბირმის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში

შორეული ქვეყნიდან — ბირმიდან საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. მსახიობები აქ უჩვენებენ თავიანთ ეროვნულ ხელოვნებას.

პირველი კონცერტი გაიმართა 8 ოქტომბერს მოსკოვში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში. კონცერტის დაწყების წინ ბირმის კავშირისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ სცენაზე გამოვიდნენ ბირმის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია და საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა ჯგუფი.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი.

საბჭოთა მსახიობებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ბირმის კავშირის განათლებისა და კულტურის მინისტრმა უ ტუნ ტინმა.

ბირმის ხელოვნების ოსტატთა კონცერტმა მაყურებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. კონცერტმა ცხადყო, რომ თავისუფლებისმოყვარე ბირმელი ხალხი, რომელმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა, წარმატებით ავითარებს ტრადიციებით მდიდარ თავის მხატვრულ კულტურას.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა და ნამდვილად გამოხატა ბირმისა და სსრ კავშირის ხალხების მეგობრული ურთიერთობა.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ა. სუსლოვი. მათთან ერთად ლოჟაში იყვნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, დელეგაციის მეთაური ბირმის განათლებისა და კულტურის მინისტრი უ ტუნ ტინი, ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ ჯინი. (საკდესი).

შემოდგომა გამოფენაზე

ყოველდღიურად სულ უფრო მეტად იგრძნობა შემოდგომა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე. ქალაქში ახლა წლის ამ დროის კონტრასტებია. ბევრ მცენარეს უკვე შემოძარცვია, ხოლო ბევრს შეყვითლებია ფოთლები, მაგრამ იქვე გვერდით ჯერ კიდევ აფრქვევენ საამო სურნელებას სხვადასხვა ყვავილები.

მოსკოველებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, უყვართ ბუნება წლის ყოველი დროის თავისებურებებით. და ახლაც გამოფენაზე არც თუ იშვიათად შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ვერ მალავენ შემოდგომის პეიზაჟით გამოწვეულ სიხარულს.

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, გამოფენაზე ნათლად შესამჩნევი და მკვეთრად საგრძნობია ბარაქიანი შემოდგომის სიკეთე.

ერთგვარი სიცივეების მიუხედავად, გამოფენის პავილიონებსა და ღია ნაკვეთებზე მუდამ ბევრი ხალხია. გრძელდება ლექციები, საუბრები, გამოფენის ექსკურსანტთა შეხვედრები.

ჩვენ გავეცანით 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის ზოგიერთ მონაცემს. გამოფენის მუშაობის ოთხი თვის მანძილზე ეს სახალხო უნივერსიტეტი ინახულა 4 მილიონ 200 ათასმა კაცმა. გამოფენაზე მთავარი კომიტეტის საგზურებით იყო 175 ათასი ექსკურსანტი, მათ რიცხვში 93 ათასი კაცი კოლმეურნეობებიდან, 19 ათასი კაცი საბჭოთა მეურნეობებიდან, ხოლო 20 ათასი კაცი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან. ექსკურსანტთა შორის იყო 16.270 პარტიული და საბჭოთა მუშაკი, 5.220 მეცნიერი თანამშრომელი.

ისევე როგორც წინათ, სამიმოხილველო მარშრუტის ექსკურსიამძღოლები გამოფენის ტერიტორიასა და პავილიონებში ყოველდღიურად აწყობენ ათობით ექსკურსიას ნახველებისათვის, რომლებიც ადგილებიდან ჩამოვიდნენ ისე, რომ არა აქვთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის საგზურები. სამთვენახევრის განმავლობაში ამ მარშრუტის ექსკურსიამძღოლები მოემსახურნენ ექსკურსანტთა 3.700-ზე მეტ ასეთ ჯგუფს, რომელთა შემადგენლობაში იყო 99 ათასი კაცი. უკანასკნელ ხანებში სპეციალურად ტარდება ექსკურსიები იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მინდვრებზე მოსავლის აღებაში.

გამოფენის მუშაობაში ფართოდ არის გამოყენებული კინოფილმები. მიმდინარე სეზონში გამოფენის ეკრანებზე კინოფილმები ნახა ასობით ათასმა მაყურებელმა.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს გამოფენის კინოფონდი მნიშვნელოვნად შეივსო ახალი სურათებით. მათ შორის არის ფილმი „კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“, რომელიც წარმოადგენს დოკუმენტალურ-მხატვრულ მოთხრობას კიროვის ოლქის მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნის ისტორიაზე, მის მიღწევებზე, მუშაობის მეთოდებზე და არტელის საუკეთესო ადამიანებზე.

გამოფენაზე პირველად დემონსტრირებულია აგრეთვე ისეთი ფილმები, როგორიც არის: „პროკოფი ნექტოვი“, „მწველავ მარიამ სავჩენკოსთან“, „ლატვიის კულტურული საძოვრები“ და სხვ.

გამოფენის პავილიონებში დემონსტრირებული სასოფლო-სამეურნეო კინოფილმები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ექსკურსანტთა და მნახველთა შორის. ბევრ პავილიონში („ურალი“, „ციმბირი“, „შორეული აღმოსავლეთი“, „აზერბაიჯანის სსრ“, „ლიტვის სსრ“, „წყალთა მეურნეობა“ და სხვ.) უზრუნველყოფილია ფილმების დემონსტრაციის მაღალი ხარისხი.

...შემოდგომა გამოფენაზე. იგი იგრძნობა პავილიონების მრავალ სტენდზე. მაგალითად, მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოფენაზე გამოგზავნა ახალი მოსავლის საკვები ჭარხალი, რომლის თვითეული ძირი იწონის 5-დან 7 კილოგრამამდე. ეს კოლმეურნეობა ვარაუდობს 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს ამ ძვირფასი საკვები კულტურის 600 ცენტნერი მოსავალი.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ — ყუბის საბჭოთა მეურნეობამ აზერბაიჯანის სსრ პავილიონში ჩამოიტანა დიდძალი ატამი, ვაშლი, ქლიავი, მსხალი. პავილიონში ხაჩმასის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობიდან მიღებულია ნესვები. თვითეული მათგანი 12-მდე კილოგრამს იწონის.

იმავე პავილიონში გამოფენის ექსკურსანტები და მნახველები ინტერესით ათვალიერებენ არაჩვეულებრივად დიდ (თვითეული 25 კილოგრამია წონით) საზამთროებს, რომლებიც აქ მიიღეს შამქორის რაიონის აზი ასლანოვის სახელობის კოლმეურნეობიდან.

აი საქართველოს რესპუბლიკის პავილიონი. იქ შესვლისთანავე მნახველები გრძნობენ უხვი შემოდგომის სურნელებას. სტენდებზე მიმდინარე წლის მოსავლის ბევრი ნაყოფია.

შემოდგომა მოსკოვში, გამოფენაზე, თავის უფლებებშია შესული.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.



მოსკოვი. 1956 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. კოლმეურნეობათა მოედანი.
ფოტო ა. სერგეევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

პარტიული ცხოვრება

შესრულების შემოწმება დაივიწყეს, კრიტიკას პატივს არ სცემენ

წერილი რედაქციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა დასახა. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გადაჭრით აამაღლონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, მჭიდროდ დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ვერ დგას ახალი ამოცანების დონეზე. ისინი ნაცვლად მასებში ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა, კმაყოფილდებიან კრებებისა და თათბირების ფორმალური მოწვევით. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ბათუმის ფანერის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროსა და მისი მდივნის ლ. მასხულიას მუშაობა.

ქარხანაში 64 კომუნისტი მუშაობს. გარდა ამისა, საამქროებში შექმნილია საამქროს პარტიული ორგანიზაციები. მაგრამ საწარმოში ფაქტიურად ჩაშლილია შინაპარტიული მუშაობა, პარტბიურო და მისი მდივანი მოწყვეტილი არიან მასებს, ყურს არ უგდებენ კომუნისტების საქმიან შენიშვნებს. ამითაც არის გამოწვეული ის, რომ საწარმო სისტემატურად ჩამორჩება სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში და ყოველთვიურად სამშობლოს ათეულ ათასობით მანეთის ავეჯს, ფანერს და სხვა პროდუქციას აკლებს. განვლილ ცხრა თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 87,7 პროცენტით.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქარხნის ძირითად საამქროებში. ფანერის საამქროში, მაგალითად, სექტემბრის გეგმა შესრულებულია 44,3 პროცენტით, ხოლო ავეჯის საამქროში — 37,6 პროცენტით.

ერთი შეხედვით ისე მოგეჩვენებათ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. კრებები, პარტბიუროს სხდომები სისტემატურად იმართება, ზოგჯერ კარგი საქმიანი დადგენილებებიც გამოაქვთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმე ადგილიდან არ იძვრის, ქარხანა კვლავ ცუდად მუშაობს. და ეს იმიტომ, რომ პარტბიურო და მისი მდივანი ლ. მასხულია მხოლოდ საკითხების ზერელედ განხილვით, ღონისძიებათა დასახვით კმაყოფილდებიან, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. კრების შემდეგ არ ჩაღდება ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა მიღებულ დადგენილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი. ივნისში პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი სოციალისტური ქონების დაცვის შესახებ, საკითხი მეტად დროული იყო, რადგან უკანასკნელ ხანებში გახშირდა ქურდობისა და დატაცების შემთხვევები. კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა პ. გურგენიძემ, ს. ქიმერიძემ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტბიურო იმისათვის, რომ იგი ცუდად იბრძვის ქურდობის—კაპიტალიზმის ამ სამარცხვინო გადმონაშთის — წინააღმდეგ. კრებამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა, გაითვალისწინა სოციალისტური საკუთრების დაცვაზე სააგიტაციო საუბრებისა და მოხსენებების მოწყობა, ქარხნის დაცვის გაძლიერება. მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდზე დარჩა, ქურდობის შემთხვევები კი კვლავ გრძელდება. კრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მუშა შ. ჯავაშვილმა 20 ცალზე მეტი ნარდის მზა მასალა მოიპარა. სულ რამდენიმე დღის წინათ ქარხანაში ძმებმა კ. და ა. მანტკავებმა ათობით ცალი სასარკე მინა მოიპარეს. მსგავსი ფაქტები ერთეული როდია.

უმოქმედობას იჩენს ქარხნის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციაც, რომელიც თავის რიგებში 100-ზე მეტ კომკავშირელს ითვლის. შინაკომკავშირული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ცუდად დაყენების შედეგად დაბალია ახალგაზრდობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. ათობით კომკავშირელი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს, ზოგიერთი მათგანი თვითნებურად ტოვებს წარმოებას, სისტემატურად იგვიანებს სამუშაოზე.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის ივლისში პარტიულმა კრებამ იმსჯელა კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, კარგი დადგენილებაც მიიღო, მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება. სწორი იყო კომკავშირის კომიტეტის წევრი კომუნისტი ლ. იაცენკო, რომელმაც 22 აგვისტოს პარტიულ კრებაზე განაცხადა, რომ კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის განხილვის შემდეგ საქმე გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო გაუარესდა. თვეობით არ იმართება კომკავშირული კრებები და კომიტეტის სხდომები. კომკავშირული მეურნეობა მოუწესრიგებელია.

პარტბიურო და მისი მდივანი ნაკლებად ზრუნავენ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ, მიუხედავად კომუნისტების მრავალგზისი შენიშვნებისა, ლ. მასხულია არასოდეს არ მოახსენებს პარტიულ კრებას წინა კრებაზე მიღებული დადგენილებებისა და კომუნისტების მიერ პარტიული დავალებების შესრულების მიმდინარეობაზე.

პარტბიურო ხელს არ უწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. სწორედ ამის შედეგია, რომ ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. დგვეფაძე, მთავარი მექანიკოსი ვ. იაკუბოვიჩი, ავეჯის საამქროს უფროსი დ. ბჟალავა და სხვები ყურს არ უგდებენ ქვემოდან მომდინარე კრიტიკას, უგულებელყოფენ მას, ხოლო ზოგჯერ კიდევაც ახშობენ. აგვისტოში პარტიულ კრებაზე ქარხნის ხელმძღვანელობის კრიტიკით გამოსულ კომუნისტებს, მათ შორის ნ. ხონელიძეს, ავეჯის საამქროს უფროსი დ. ბჟალავა, მთავარი ინჟინერი ა. დგვეფაძე უხეშად აწყვეტინებდნენ სიტყვას. კომუნისტები ხშირად აკრიტიკებენ ქარხნის მთავარ ინჟინერს ა. დგვეფაძეს, მთავარ მექანიკოსს ვ. იაკუბოვიჩს, პარტბიუროს მდივანს ლ. მასხულიას დაზგა-დანადგარებისა და მოწყობილობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისათვის, მათი ცუდი გამოყენებისა და მექანიზაციის დაბალი დონისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ კრიტიკას მხარს არ უჭერენ, მდგომარეობა უცვლელი რჩება. საკმარისია ითქვას, რომ ფანერის საამქროში დაზგა-დანადგარების დიდი ნაწილი მხოლოდ 50 პროცენტით არის გამოყენებული. ასეთივე მდგომარეობაა ავეჯის საამქროშიც. აქ ბევრი დაზგა-დანადგარი უქმად დგას, რადგან მათი ათვისება ჭიანურდება, ხოლო ტექმინიმუმის შემსწავლელი წრეების მუშაობა ჩაშლილია.

თუ რაოდენ დაბალია ქარხანაში დისციპლინა, ამას ისიც მოწმობს, რომ საერთო კრებებზე ჩვეულებრივად მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 25-30 პროცენტზე მეტი არ ესწრება. ბევრ პარტიულ კრებაზეც კი დასწრება მეტად დაბალია და ზოგჯერ კომუნისტების საერთო რაოდენობის 40-50 პროცენტს არ აღემატება. მაგალითად, 22 ივლისს გამართულ პარტიულ კრებაზე 65 კომუნისტიდან მხოლოდ 25 ესწრებოდა.

ქარხანაში ადგილი აქვს სახელმწიფოსათვის თვალისახვევის დანაშაულებრივ ფაქტებს. მაგალითად, აგვისტოში გეგმით გათვალისწინებული 150-ის ნაცვლად ადმინისტრაციამ აჩვენა 140 ცალი სერვანტის დამზადება, ფაქტიურად კი საამქროში იყო 130 ცალი, ისიც დაუმთავრებელი. არასწორად აჩვენეს დამზადებული ბუფეტების, შიფონერების რაოდენობაც. იგივე გამეორდა სექტემბერშიც. 3 ოქტომბერს საავეჯო საამქროს უფროსმა დ. ბჟალავამ დირექციაში წარადგინა, ხოლო დირექციამ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს გადასცა ცნობა, რომ სექტემბერში გამოშვებულია 409 ათასი მანეთის ავეჯი, ხოლო მეორე დღეს, 4 ოქტომბერს, როდესაც პრესის წარმომადგენელმა ქარხნის მუშაობა შეისწავლა, დირექციამ სწრაფად შეცვალა წინა დღის ცნობა და სამინისტროს აცნობა, რომ გამოშვებულია 212 ათასი მანეთის ავეჯი.

ქარხნის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები კარგად არის ცნობილი პარტიის ბათუმის საქალაქო და აჭარის საოლქო კომიტეტებისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროსათვის, მაგრამ პრაქტიკულ ზომებს არ იღებენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრები: გ. სოკოლოვი — ავეჯის საამქროს ოსტატი, **ვ. მანაგაძე** — ფანერის საამქროს ყოფილი ბრიგადირი, **ნ. ხონელიძე** — ავეჯის საამქროს დურგალი, პარტბიუროს წევრი.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

როგორ გავადიდეთ წველადობა

უკანასკნელ წლებში სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენს შრომაში" საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. სასურველ შედეგებსაც ვაღწევთ. მეძროხეობის ფერმისათვის ავაგეთ ახალი სადგომი ბინა, მოვაწყეთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მეცხოველეობაში 1954-1955 სამეურნეო წელს მოვიპოვეთ. ამ წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩვენი კოლმეურნეობა სატვირთო ავტომანქანით დააჯილდოვა.

ე. ტერაშვილი.

იმ ადამიანთა შორის, რომლებიც მეცხოველეობის ფერმებში მოვიდნენ სამუშაოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების შემდეგ, მეც ვარ. მოწინავე მწველავთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა დიდად მეხმარება მუშაობაში, ვაღწევ მაღალ წველადობას. ახლა 12 ძროხას ვუვლი. სამეურნეო წლის 11 თვეში თვითეულ საფურავე ძროხაზე მოწველილი მაქვს 1.958 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამისა.

როგორ ვაღწევ მაღალ წველადობას?

პირუტყვს კარგად ვუვლი, ვაძლევ მრავალფეროვან საკვებს სპეციალისტებთან ერთად შედგენილი რაციონით. ზამთრობით პირუტყვი მყავს ბაგურ კვებაზე, ხოლო ზაფხულობით — ბაგურ-ბანაკურზე. დღეღამეში ძროხებს ორჯერ ვწველი საწველი აპარატით. წველის შემდეგ პირუტყვს პირველად ვაძლევ კონცენტრატებსა და წვნიან საკვებს, შემდეგ კი უხეშ საკვებს დაორთქლილი სახით. ულუფის ასეთი მიცემით პრაქტიკულად დავრწმუნდი, რომ ძროხები უფრო მეტს იწველიან.

ზამთრობით საშუალოდ დღეში თვითეულ ძროხას ვაძლევ 3 კილოგრამ კონცენტრირებულ საკვებს, 5 კილოგრამ თივას, 10 კილოგრამ სილოსს, 8 კილოგრამ საკვებ ჭარხალს, აგრეთვე ნამჯასა და ჩალას. ნამჯას ვჭრავ უნივერსალურ წისქვილში და მას ვაძლევ სიმინდის ან ქერის ღერღილთან ერთად. პირუტყვის საკვებად კოლმეურნეობაში დიდი რაოდენობით ვიყენებთ აგარის შაქრის ქარხნის ნარჩენს — დურდოს (ჟომს), რომელიც უმჯობესია პირუტყვს მიეცეს რომელიმე კონცენტრატთან ერთად. წყლის დასალევინებლად ფერმაში მოწყობილია ავტოსარწყულებლები.

ძროხებს მზრუნველობით ვუკიდებ სიმშრალის პერიოდშიც. მოგებამდე ორი თვით ადრე კვების რაციონში ვუმატებ კონცენტრატებს და ვამცირებ წვნიანი საკვების რაოდენობას. მოგებიდან დაახლოებით ერთი კვირის გასვლის შემდეგ კვლავ ვუდიდებ წვნიანი საკვების მიღებას. ხბოებს ექვს თვემდე ხელით ვკვებავ. ნამატს მთლიანად ვინარჩუნებ. გასულ წელს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მივიღე 801 კილოგრამი რძე.

ახლა ფლაველი მეცხოველე კოლმეურნეები გაცხოველებით ვემზადებით პირუტყვის გამოზამთრებისათვის. საჭირო რაოდენობით დავაგროვეთ და დავზვინეთ თივა, ნამჯა. სილოსის ჩასადებად წესრიგზე მოვიყვანეთ 1 ტრანშეა და 8 ორმო. დავიწყეთ მწვანე მასის დასილოსება. უკვე ჩავდეთ 250 ტონა სილოსი. გათვალისწინებული გვაქვს თვითეულ საფურავე ძროხაზე ჩავდოთ 6 ტონა სილოსი.

ე. ტერაშვილი,
გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის" მეძროხეობის ფერმის მწველავი.

მოწინავე მეთამბაქოე

კომკავშირელი ხატიჯე არამიძე ხულოს რაიონის სოფელ ყინჩაურის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრია. მან კოლმეურნეთა შორის ბეჯითი შრომით მოწინავე მეთამბაქოეს სახელი დაიმსახურა. ხ. არამიძემ მოსავლელად მიჩენილ 1.200 კვადრატულ მეტრ ფართობზე უკვე შეტეხა და ანემსა 1.700 ზონარმეტრი თამბაქო, გეგმა კი 1.600 ზონარმეტრს ითვალისწინებდა.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების პირნათლად განაღდებისათვის ხ. არამიძემ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. იგი ყოველდღიურად 100-120 ზონარმეტრ ფოთოლს ტეხს და ნემსავს. მის მიერ აღებული მოსავლის 80 პროცენტი მაღალხარისხოვანია. ხ. არამიძემ სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 100 კილოგრამი ნედლეული. იგი იბრძვის, რათა გეგმის ზევით 1.700 ზონარმეტრი თამბაქო შეტეხოს და 2 ცენტნერი ხმელი თამბაქო ჩააბაროს.

ხატიჯე არამიძე პირადი მაგალითით ახალისებს თანასოფლელებს და ეხმარება მათ თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

გ. აროშიძე,
ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის" რედაქტორი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

1956 წლის 8 ოქტომბერს ქალაქ ფედალაში (მაროკო) მაროკოს მთავრობის ინიციატივით მოწვეულია ტანჟერის სპეციალური სტატუტის მონაწილე 8 ქვეყნის წარმომადგენელთა, მათ შორის საფრანგეთის, ესპანეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის წარმომადგენელთა, აგრეთვე მაროკოს მთავრობის დელეგატთა კონფერენცია. კონფერენციამ უნდა დაამთავროს საერთაშორისო ადმინისტრაციის ლიკვიდაცია ტანჟერში და ტანჟერის გაერთიანება მაროკოს სახელმწიფოსთან.

როგორც ცნობილია, პარიზის 1923 წლისა და 1928 წლის კონვენციებით ტანჟერის სტატუტის შესახებ ტანჟერი გამოცხადებული იყო საერთაშორისო ზონად მუდმივი ნეიტრალიტეტის რეჟიმით. რჩებოდა რა ფორმალურად მაროკოს სულთნის სუვერენიტეტის ქვეშ, ტანჟერს მართავდა საერთაშორისო ადმინისტრაცია, რომელშიც შედიოდნენ მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები. როგორც იმ ქვეყნის მთავრობა, რომელმაც ხელი მოაწერა ალხესირასის 1906 წლის აქტს იმ საკითხებზე, რომლებიც მაროკოს შეეხება, და ოთხი სახელმწიფოს პარიზის 1945 წლის კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე ალჟირის საკითხის შესახებ, საბჭოთა მთავრობა ერთ დროს მიწვეული იყო ტანჟერის ზონის საერთაშორისო მართვაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ არ ისარგებლა ამ თავისი უფლებით, არა სურდა რა შეელახა მაროკოს ეროვნული სუვერენიტეტი.

საბჭოთა მთავრობა მიესალმა მაროკოს პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას, რომელიც დაგვირგვინდა მაროკოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ბუნებრივია, რომ საფრანგეთისა და ესპანეთის მაროკოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დადგა მაროკოს გაერთიანების საკითხი, კერძოდ, მაროკოსთან ტანჟერის შეერთებისა და ტანჟერის ზონის არსებული რეჟიმის შეცვლის საკითხი.

საბჭოთა კავშირი, პატივს სცემს რა მაროკოელი ხალხის სამართლიან ეროვნულ მისწრაფებებს და მხურვალედ თანაუგრძნობს მაროკოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და გაერთიანების საქმეს, მიესალმება მაროკოს მთავრობის ინიციატივას, რომლის მიზანია ტანჟერის შეერთება მაროკოსთან. სსრ კავშირის მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ კონფერენცია, რომელიც მოწვეულია ქალაქ ფედალაში, დაბრკოლებას არ შეუქმნის მაროკოსთან ტანჟერის უსწრაფეს და ნამდვილ გაერთიანებას, აღმოფხვრის ამ რაიონში ეგრეთწოდებული საერთაშორისო ადმინისტრაციის რეჟიმს, რომელიც ლახავდა მაროკოელი ხალხის უფლებებს, და ხელს შეუწყობს ტანჟერის საკითხის საბოლოო მოწესრიგებას ტანჟერის მიმართ მაროკოს სუვერენული უფლებების სრული პატივისცემის საფუძველზე.

გაზეთები და ჟურნალები — მასებში

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მრავლდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო, სამხატვრო, საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური, ახალგაზრდობის და ბევრი სხვა სახის გაზეთები და ჟურნალები. ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირში პერიოდულ გამოცემათა ტირაჟები გაიზარდა ერთნახევარჯერ და კიდევ მეტად, ხოლო რევოლუციამდელ წლებთან შედარებით — თხუთმეტჯერ. ახლა საბჭოთა კავშირში გაზეთები და ჟურნალები ვრცელდება 60 მილიონ ეგზემპლარზე მეტი ერთჯერადი ტირაჟით. 1957 წელს იმ პერიოდულ გამოცემათა ერთჯერადი ტირაჟი, რომლებსაც საქართველოს სს რესპუბლიკის მკითხველები მიიღებენ, იქნება დაახლოებით 1.360 ათასი ეგზემპლარი, ანუ 170 ათასით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

საგულისხმო ფაქტებია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პერიოდულ გამოცემათა გავრცელება შეგვიძლია თვითდინებას მივანდოთ. პირველ ოქტომბერს დაიწყო ხელისმოწერა 1957 წლის ცენტრალურ და ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებზე. კავშირგაბმულობის მუშაკებთან ერთად ხელისმოწერის ორგანიზაციაში მონაწილეობენ საზოგადოებრივი რწმუნებულები, რომლებიც გამოყოფილი არიან პირველადი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ საწარმოებში, ახალშენებებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საჭიროა კარგი ინსტრუქტაჟი გავუწიოთ საზოგადოებრივ რწმუნებულებს, გავაცნოთ მათ რა და რა პერიოდული გამოცემები გამოდის ჩვენს ქვეყანაში, როგორია ხელისმოწერის პირობები, უზრუნველვყოთ ისინი საჭირო საცნობარო მასალებით. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღიურად ზრუნავდნენ ტირაჟების სწორად განაწილებისათვის, იმისათვის, რომ გაზეთები და ჟურნალები აღწევდეს მასობრივ მკითხველამდე, შეხვდეს იმას, ვისაც ისინი განსაკუთრებით ესაჭიროება. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბევრჯერ მიუთითებია პარტიული ორგანიზაციებისათვის, რომ აუცილებელია სერიოზულად მოვეკიდოთ პრესის გავრცელების საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებაში „გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელების საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ" აღნიშნულია, რომ მოსახლეობაში გაზეთებისა და ჟურნალების ოპერატიულად და დროულად გავრცელება პარტიული ორგანიზაციების, პირველ რიგში, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებების სისხლხორცეული საქმე და პირდაპირი მოვალეობაა.

ხელისმოწერის ახლანდელი კამპანიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საგრძნობლად გავადიდოთ ინდივიდუალურ ხელისმომწერთა რიცხვი, უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ დარგობრივ, სამეცნიერო, საწარმოო-ტექნიკურ გამოცემებზე ხელისმოწერის გადიდება. უკანასკნელ დრომდე ეს ამოცანა ისე როდი წყდებოდა, როგორც საჭიროა. ბევრ დარგობრივ გამოცემაზე ჯერ კიდევ ცოტაა ინდივიდუალური ხელისმოწერა, და ამ გამოცემათა რეალიზაციას საწარმოები, დაწესებულებები და უწყებები უმთავრესად სახელმწიფოს სახსრებით ახდენენ. ჩვენს რესპუბლიკაში 1956 წლის ზოგიერთი ჟურნალის ტირაჟების ნაწილი სრულიად არ ყოფილა რეალიზებული. და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მათი ხარისხი არ აკმაყოფილებს მკითხველებს. მთავარი მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის დიდ სამრეწველო ცენტრებში ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული ამ გამოცემათა პროპაგანდა.

დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური გამოცემები აუცილებელი საშუალებაა იმისათვის, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები მუდმივად იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, სისტემატურად ეცნობოდნენ უახლეს მიღწევებს სამამულო და უცხოეთის ტექნიკის დარგში, წარმოების ნოვატორების გამოცდილებას. ეს გამოცემები, რომლებიც ახლა 200 სახელწოდებით გამოდის, არსებითად ემსახურება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, მათ შორის და უპირველეს ყოვლისა მთელ სამრეწველო წარმოებას. ამოცანა ის არის, რომ ამ ხასიათის გამოცემები მივაწოდოთ იმათ, ვისთვისაც ისინი საჭიროა, უზრუნველვყოთ ინდივიდუალური ხელისმოწერა მუშათა კლასის კვალიფიციური კადრების, მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და მოსამსახურეების მიერ. ასეთი მუშაობის მრავალი ფორმა არსებობს. მაგალითად, ცუდი არ იქნებოდა, თუ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში მოვიწვევდით ძირითად საწარმოთა მთავარ ინჟინრებს და მოვეთათბირებოდით მათ იმის შესახებ, თუ როგორ სჯობს სამეცნიერო და საწარმოო-ტექნიკური ჟურნალების მიწოდება მკითხველისათვის. საჭიროა ჟურნალების შესახებ ანოტაციები მოვათავსოთ საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთებში, საქალაქო გაზეთებში, მოვაწყოთ ცოცხალი საუბრები, მკითხველთა კონფერენციები, რადიოგადაცემები ცალკეული ჟურნალების შესახებ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვისაც, ისევე როგორც მრეწველობის მუშაკებისათვის, გამოდის ახალი ჟურნალები, რომლებიც პირველ რიგში განკუთვნილია ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრებისათვის და უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისათვის. უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად ხელისმოწერის ორგანიზაციას. ჯერჯერობით ბევრი მეტად საჭირო გამოცემა ვერ აღწევს სოფლელ მკითხველამდე. ეს ნაკლი უნდა აღმოვფხვრათ, უნდა გავადიდოთ ინდივიდუალურ ხელისმომწერთა რაოდენობა სოფლის მოსახლეობაში. ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ გაზეთები სწორად ნაწილდებოდეს და აღწევდეს ხალხამდე. ლენინის ეს მითითება საფუძვლად უნდა დაედოს მთელ მუშაობას გაზეთებზე და ჟურნალებზე ხელისმოწერის ორგანიზაციის დარგში.

პრესის გავრცელების საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც პარტორგანიზაციის მდივანი არა თუ კონტროლს არ უწევს იმას, როგორ მიმდინარეობს ხელისმოწერა გაზეთებზე და ჟურნალებზე, არამედ თვითონაც არ იწერს ჟურნალ-გაზეთებს. სოიუზპეჩატის საქალაქო და სასოფლო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანება, მაგრამ სოიუზპეჩატის ინსტრუქტორი როგორ დააჯერებს პარტიულ ხელმძღვანელს იმაში, რომ მან უნდა გამოიწეროს პარტიული ჟურნალები?

ცნობილია, რომ 1956 წლის სექტემბრიდან ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი" გამოდის ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში ამ ჟურნალის გავრცელება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის რაიონებში „აგიტატორის ბლოკნოტის" აზერბაიჯანული გამოცემის არც ერთი ეგზემპლარი არ არის გამოწერილი. ახალქალაქის რაიონში ჟურნალის სომხური გამოცემა გამოწერილია სულ ორი ეგზემპლარის რაოდენობით. მეოთხე კვარტალისათვის ხელისმოწერა ჩაშლილია აგრეთვე ქუთაისის რაიონში, სადაც ქართული გამოცემის 500 ეგზემპლარიდან რეალიზებულია სულ ექვსი. ასეთი ფაქტები უსათუოდ საგანგაშოა და იმას მოწმობს, რომ ცალკეული პარტიული კომიტეტები სათანადოდ არ აფასებენ პრესის გავრცელების პოლიტიკურ მნიშვნელობას, ამ საქმეს მთლიანად ანდობენ კავშირგაბმულობის ორგანოებს.

ხელისმოწერის მიმდინარე კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჟურნალების „საქართველოს კომუნისტის", „აგიტატორის ბლოკნოტის", რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთების, აგრეთვე გაზეთ „ზარია ვოსტოკას" აზერბაიჯანული გამოცემის გავრცელებას („ზარია ვოსტოკას" გამოცემა აზერბაიჯანულ ენაზე დაიწყება 1957 წლის 1 იანვრიდან).

არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი საქალაქო და რაიონული გაზეთების გავრცელების საკითხებს. ჩვენ გვაქვს ისეთი გაზეთები, რომელთა ტირაჟის რეალიზება მთლიანად არ ხდება. 1956 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ქუთაისის საქალაქო გაზეთების, წალენჯიხის, ადიგენის, ბოლნისის, ქარელის, ცაგერის და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთის ტირაჟები. ეს გარემოება არ შეიძლება აიხსნას მარტო სოიუზპეჩატის ორგანოების ცუდი მუშაობით. გაზეთის გავრცელება ბევრად არის დამოკიდებული მის ხარისხზე, პოლიტიკურ სიმახვილეზე, იმაზე, თუ როგორ აკმაყოფილებს გაზეთი მკითხველთა მოთხოვნილებებს. უეჭველია, რომ გაზეთი, რომელიც თავის ფურცლებს ავსებს უფერული, ნაკლებსაინტერესო მასალებით, სადაც არავითარი საკითხი არ არის აღძრული და გვერდი აქვს ავლილი მტკივნეულ საკითხებს, ვერ ჰპოვებს მკითხველს და მისი გავრცელებაც გაძნელდება.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცალკეულ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შეუწყნარებელი პრაქტიკა, როდესაც რაიონული გაზეთი ვრცელდება „ზევიდან დაძალებით", როდესაც აიძულებენ გამოიწერონ იგი როგორც ცენტრალური ან რესპუბლიკური გაზეთის დამატება. იმით დამშვიდებული რედაქტორი, რომ გაზეთი, რომელსაც იგი რედაქტორობს, მაინც გავრცელდება, აღარ იღებს ზომებს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს გაზეთის შინაარსი, მებრძოლი, საინტერესო გახადოს თვითეული ნომერი, აგოს იგი ადგილობრივ მასალებზე.

პარტიული კომიტეტები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ პრესის გავრცელებაზე, ვალდებული არიან მეტი ყურადღება მიაქციონ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოების ხარისხს.

საჭიროა გაუმჯობესდეს სოიუზპეჩატის საქმიანობა. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ბევრი შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ ეს გააკეთონ. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც კავშირგაბმულობის მთელი რიგი რაიონული კანტორები და განყოფილებები სისტემატურად ვერ ასრულებენ გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვის დადგენილ გეგმებს. მიმდინარე წელს 10 რაიონულმა კანტორამ ვერ შეასრულა პერიოდული პრესის საცალო გაყიდვის 6 თვის გეგმა. გაზეთებისა და ჟურნალების რეალიზაციაზე განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ სასოფლო განყოფილებები და სააგენტოები. საჭიროა სისტემატური და ქმედითი კონტროლი დავაწესოთ სოფლად კავშირგაბმულობისა და სოიუზპეჩატის ორგანოების საქმიანობისადმი, მივაღწიოთ მათი მუშაობის მეტ სიზუსტესა და ოპერატიულობას ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებისა და მიწოდების საქმეში. ამ მიზნით უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა სოფლად კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობისადმი, მივაღწიოთ იმას, რომ კავშირგაბმულობის თვითეულ განყოფილებასა და სააგენტოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში მოეწყოს ხელისმოწერა გაზეთებზე და ჟურნალებზე და აგრეთვე მათი ცალობით გაყიდვა.

გაზეთებზე და ჟურნალებზე ხელისმოწერა დიდი და პასუხსაგები კამპანიაა. ხელისმოწერის წარმატებით ჩატარება საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ რესპუბლიკის მშრომელები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები გაზეთებითა და ჟურნალებით, შევაიარაღოთ ისინი ჩვენი პარტიის ყველაზე შორსმსროლელი იდეოლოგიური იარაღით ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის წარმატებებისათვის ბრძოლაში. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უზრუნველყონ ხელისმოწერის კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარება.

გ. ხუციშვილი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.

საშემოდგომო ხვნა-თესვა

სრულად გამოვიყენოთ ტექნიკა

ხვნა-თესვაში ჩამორჩნენ არა მარტო ლენინგორის რაიონის მთის კოლმეურნეობები, არამედ დაბალი ზონის კოლმეურნეობებიც, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ტექნიკა ემსახურება. სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობაში, რომელიც ტირიფონის ველის პირად მდებარეობს, 300 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი და ქერი უნდა დათესონ.

ორჭოსნელი კოლმეურნეები ადრევე შეუდგნენ ამ პასუხსაგები პერიოდისათვის მზადებას; მოიმარაგეს თესლი, გაძლიერებულ კვებაზე გადაიყვანეს მუშა-პირუტყვი, შეაკეთეს საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მაგრამ სუსტად მოემზადა ლენინგორის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელიც ამ კოლმეურნეობას ემსახურება. ტრაქტორები მწყობრიდან გამოვიდნენ, როცა მათ ჯერ კიდევ მოსახნავი ჰქონდათ 40 ჰექტარიანი ნაკვეთი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დრიაევმა დროულად აუღო ალღო ამ მდგომარეობას და მუშა-პირუტყვის საშუალებით დაიწყო ხვნა-თესვა. 50 ჰექტარზე დაითესა ხორბალი, და აღმონაცენიც შესანიშნავია. დანარჩენ ფართობზე ეს სამუშაო შეაჩერეს, რადგან მტს-მა უნდა ჩაატაროს ჯვარედინად და მჭკრივად თესვა, რაც დღემდე ჭიანურდება. მტს-ის ტრაქტორმა „უნივერსალმა" რამდენჯერმე შემოუარა 8-ჰექტარიან ნაკვეთს და სათესი მწყობრიდან გამოვიდა, დისკები გაეღუნა. ეს ვერ შენიშნა ტრაქტორისტმა მ. დრიაევმა და ერთი ჰექტარი უხარისხოდ დათესა. 27 სექტემბერს „კდ-35" მარკის ტრაქტორს, რომელსაც ა. გურწიევი მართავდა, ახალი სათესი მიაბეს. ქარხნიდან მოსული სათესი წინასწარ არ შეუმოწმებიათ. რამდენიმე ჰექტარის დათესვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მანქანა ნორმაზე ორჯერ მეტ თესლს ხარჯავდა. ტრაქტორისტი იძულებული იყო თესვა შეეწყვიტა. როცა მიზეზზე შევეკითხეთ, ტრაქტორისტმა გვიპასუხა: ჩვენი მტს-ის მთავარი ინჟინერი ვ. რუსიტაშვილი ტრაქტორისტებს არც სახელოსნოებში, არც მინდვრებზე არ ეხმარება.

მტს-ის დაუდევრობით უნდა აიხსნას ისიც, რომ ტრაქტორებს ხშირად საწვავი არა აქვთ და უქმად დგანან. 23-24 სექტემბერს „უნივერსალი" არ მუშაობდა, რადგან საწვავი დროზე არ მოიტანეს. კოლმეურნეობამ თავისი ავტომანქანა გაგზავნა მტს-ში საწვავის გადმოსატანად, მაგრამ საწვავი საწყობშიც არ აღმოჩნდა. კოლმეურნეობის გამგეობა იძულებული იყო საწვავი გორში ეყიდა.

საშემოდგომო ხვნა-თესვაში ჩამორჩა სოფელ ძუკათიყაუს კოლმეურნეობაც. აქ დასათესია 162 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი. პირველი ოქტომბრისათვის ეს სამუშაო სანახევროდაც არ იყო შესრულებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. გოგიჩევი 6 დღეა კოლმეურნეობაში არ იმყოფება და ამ ცხარე პერიოდში თავის საკუთარ საქმეებზე დადის. ძუკათიყაუელთა მინდვრებზე „კდ-35" და „ს-80" მარკის ორი ტრაქტორია. ისინი ტექნიკური მიზეზების გამო მხოლოდ დღეგამოშვებით მუშაობენ. აქ თესვა დაიწყეს, მაგრამ არც ერთ ნაკვეთში თესვის წინ მინერალური სასუქი არ შეუტანიათ, მაშინ როცა კოლმეურნეობას კასპიდან შემოსაზიდი აქვს 100 ცენტნერზე მეტი მინერალური სასუქი.

უხარისხოდ თესვის ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე სოფელ ცხილონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 4 დღით დააგვიანეს თესვის დაწყება. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. კუდუხოვმა თესლის ნიმუშები შესამოწმებლად წარადგინა თესლის ხარისხის ლაბორატორიაში. საგულდაგულოდ არჩეული და გაწმენდილი პურის თესლი ლაბორატორიამ ვარგისად ცნო, მაგრამ გამოირკვა, რომ ხორბალი, სადაც თესლის ნიმუში იყო აღებული, ცხვირგრძელათია დაავადებული და თესლად მისი გამოყენება არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობა კვლავ განაგრძობს ამ თესლით თესვას.

ხვნა-თესვაში ასეთ დამახინჯებებს სხვა კოლმეურნეობაშიც ვხვდებით. ზოგან თესვას ჯერაც არ შესდგომიან. საინტერესოა, რას ფიქრობენ მტს-ის დირექტორი მ. ლორთქიფანიძე და მთავარი აგრონომი ნ. მეგრელიძე? იქნებ ჰგონიათ, რომ ყოველთვის კარგი ამინდი იქნება და თესვას მოასწრებენ!

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

უკრაინელი მაღაროელები ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ ჩამოვიდა მოძმე უკრაინის ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის ახალგაზრდა მაღაროელთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს უკრაინის ალკკ მარგანეცის ქალაქკომის მდივანი ანა სვინარენკო. დელეგაციაში შედიან: ვოროშილოვის სახელობის მაღაროს № 19 შახტის მნგრეველი ლ. ხვასტიკი, № 28 შახტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ამწმენდი დ. სტაბური, მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მნგრეველი გ. ბელონოჟკო, ამავე მაღაროს მთავარი მარქშეიდერი ს. ბოდოკია და ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის უფროსი ი. ვიტკო.

ჭიათურელი მეგობრები სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. უკრაინელმა ახალგაზრდებმა დაწვრილებით დაათვალიერეს ლენინის, სტალინის, დიმიტროვის სახელობის მაღაროები, გამამდიდრებელი ფაბრიკები, გაეცნენ ახალ ტექნიკას.

დელეგატებმა ინახულეს მაღაროელთა კურორტი კვერეთი, დიდი ქართველი პოეტის ა. წერეთლის სახლი-მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

4 ოქტომბერს მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდებმა შეხვედრა მოუწყეს უკრაინელ მეგობრებს. შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. დათეშიძემ. შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ა. სხირტლაძე და ი. მოდებაძე, რომლებიც ამას წინათ სტუმრად იყვნენ ნიკოპოლში.

— საქართველოს ბუნებამ და ხალხმა, — თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. სვინარენკომ, — ჩვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ და გავიგეთ თქვენთან, რაც გამოგვადგება მუშაობაში. არ დაგვავიწყდება დიდი ქართველი მგოსნის ა. წერეთლის სახლი. ა. წერეთლის შემოქმედებას ჩვენ სკოლაში ვსწავლობდით, ვმღერით მის ლექსებს. დასასრულ მან თქვა: გვეწვიეთ, ამხანაგებო, უკრაინაში, ნახეთ ჩვენი სტუმართმოყვარეობაც, უფრო ახლოს ვიყოთ ერთმანეთთან.

დელეგაცია გულთბილად გააცილეს. ეს იყო ხალხთა მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაცია.

სურათზე: ნიკოპოლელ ახალგაზრდა მაღაროელთა დელეგაცია ჭიათურაში.

ჰიგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა პირველი ყრილობა

11 ოქტომბერს [illegible] საქართველოს სსრ ჰიგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა I ყრილობა.

ყრილობა ხელს შეუწყობს პროფილაქტიკის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. ყრილობის პლენარულ სხდომებზე და სექციებში მოსმენილ იქნება 86 მოხსენება მეცნიერებისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ.

ჰიგიენისტები და სანიტარული ექიმები იმსჯელებენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის დასახლებული ადგილების გარემოს გაჯანსაღების ჰიგიენური ნორმების დამუშავება (ქალაქების დაგეგმარება, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის სანიტარული დაცვა, საბინაო მშენებლობის ჰიგიენა), შრომის ჰიგიენის, სოფლის ჰიგიენის, კვების ჰიგიენის, სასკოლო ჰიგიენის თანამედროვე პრობლემები და სხვ.

ყრილობაზე განხილულ იქნება სსრ კავშირის სანიტარული კოდექსის პროექტი.

ამ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთა განხილვაში საქართველოს ჰიგიენისტებსა და სანიტარულ ექიმებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები — ცნობილი ჰიგიენისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან და ლვოვიდან.

ყრილობის დღეებში მოეწყობა ჰიგიენურ დაწესებულებათა მიღწევების გამოფენა.

პროფესორი გ. ნათაძე,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ ჰიგიენისტთა და სანიტარულ ექიმთა I ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

სანიმუშო სწავლითა და შრომით

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს კულტურულად მოწყობილ ორსართულიან საშუალო სკოლის შენობას ამშვენებს ხეხილის ბაღი და მარადმწვანე მცენარეთა ხეივანი. სკოლის ეზოში ფიზკულტურის ფართო მოედანია.

შედიხართ სკოლაში, და თქვენს ყურადღებას იპყრობს ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და ისტორიის კაბინეტები, რომლებიც შევსებულია სათანადო ხელსაწყო-იარაღებით.

სკოლაში საინტერესოდ მოუწყვიათ ზოოლოგიის კუთხე, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ნახონ ცხოველების და სხვადასხვა ფრინველების ფიტულები, აკვარიუმში მოთავსებული თევზები. ზოოლოგიის კუთხე ეხმარება მოსწავლეებს თეორიული ცოდნის განმტკიცებაში.

გარდა ამისა, შენდება სასწავლო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნო, რისთვისაც უკვე შეძენილია ხელსაწყოიარაღები.

სკოლის შენობის უკან თვალწარმტაც, ლამაზ სანახაობას წარმოადგენს მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით ამწვანებული სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. საცდელ ნაკვეთზე ციტრუსოვანი ციცქა და ცოლიკაურის ჯიშის 2.000 ძირი ვაზია გაშენებული. ნაკვეთზეა აგრეთვე მწკრივად და კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდი, სოია, ლობიო, კარტოფილი, პამიდორი, ბადრიჯანი, კიტრი, ნესვი და საზამთრო. აქ გაშენებულია ვაზის, წიწვიანი ხეების, ტრიფოლიატის, თუთის, ვაშლის, მსხლის, კაკლის და აკაციის სანერგეები.

საცდელ ნაკვეთზე დაკვირვებისა და დამუშავების მიხნით მიმაგრებული არიან ხუთოსანი მოსწავლეები. მაგალითად, მეათეკლასელები ო. შეყილაძე, ჟ. ქანტურიძე, ნ. კირკიტაძე და ა. ვარდოსანიძე მიმაგრებული არიან 0,10 ჰექტარ მწკრივად ნათეს სიმინდის ნაკვეთზე, რომელიც სანიმუშოდ დამუშავებულია. გასულ წელს მოსწავლეებმა ამ ნაკვეთზე ჰექტარზე გადაანგარიშებით მიიღეს 35 ცენტნერი სიმინდი, წელს კი მეტს მოელიან.

მერვე კლასის მოსწავლეები ა. ვარდოსანიძე, ე. ვარდოსანიძე, რ. მიქაშავიძე მათზე მიმაგრებულ კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის ნაკვეთიდან წელს ვარაუდობენ ჰექტარზე გადაანგარიშებით 50 ცენტნერი სიმინდის მიღებას.

კარგად მსხმოიარე 0,05 ჰექტარ ვაზს უვლიან მეათე კლასის მოსწავლე ნ. ცხელიშვილი, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გ. გიორგაძე, მეხუთე კლასის მოსწავლე შ. გიორგაძე, მეშვიდე კლასის მოსწავლე ნ. მიქაშავიძე. ვაზის მზრუნველობით მოვლა-დამუშავების შედეგად მოსავალი კარგია.

ვაზის სანერგეს უვლიან მეცხრე კლასის მოსწავლეები ბ. გიორგაძე და ი. გოგიბერაშვილი, რომლებმაც ენერგიული შრომით გასულ წელს 500 ძირი ნამყენიდან 400 ძირი გაახარეს. მათ წელს 350 ძირი ნამყენი ვაზი საცდელად აქვთ გაშენებული. მეათე კლასის მოსწავლემ ს. ფანჩულიძემ 1.500 ძირი ნაძვის ნერგი მიიღო სკოლის ეზოსა და სოფლის გასამწვანებლად.

მოსწავლეებმა ბეჯითი შრომით კარგი შედეგი მიიღეს მსხლის, ბლის, ლეღვისა და სხვა ხეხილის შეჯვარებისა და მყნობის საქმეში. ამ მხრივ სკოლაში თავი ისახელეს მეხუთე კლასის მოსწავლემ ჯ. ქანტურიძემ, მეცხრე კლასის მოსწავლეებმა ბ. ჩუბინიძემ, ჯ. ელიზბაძემ, მეშვიდე კლასის მოსწავლემ დ. ხუჯაძემ და სხვ.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების — პამიდორის, ბადრიჯნის, კიტრის, საზამთროს და ნესვის მოვლა-დამუშავების საქმეში თავი ისახელეს მეხუთეკლასელებმა მ. ვარდოსანიძემ, ზ. მარუაშვილმა და გ. კაპანაძემ.

არდადეგების დროს სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე შემოღებული იყო მოსწავლეთა მორიგეობა.

გასულ წელს საცდელი ნაკვეთიდან სკოლამ 19.700 მანეთი შემოსავალი მიიღო, წელს კი უფრო მეტს მოელიან. შემოსავალი ხმარდება სკოლის კეთილმოწყობის საქმეს.

ზედა საზანოს საშუალო სკოლის პოლიტექნიკური სწავლების დაყენების მხრივ არ ჩამორჩება ამავე რაიონის სოფელ სიქთარვის რვაწლიანი სკოლა, რომელსაც 1,08 ჰექტარი საცდელი ნაკვეთი აქვს. საკვებ ჭარხალს, საზამთროს, ნიორს, ხახვს და კარტოფილს ამუშავებენ და უვლიან მეექვსე კლასის მოსწავლეები დ. მემანიშვილი, ვ. ცხადაძე და ნ. ერგემიძე.

აქ ციცქა და ცოლიკაურის ჯიშის ვაზს უკავია 0,03 ჰექტარი. ვენახს საუკეთესოდ უვლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ჯ. აბულაძე.

ნაყოფით დახუნძლულ 118 ძირ ვაშლს, 14 ძირ მსხალს და სხვა ხეხილს კარგად უვლის მეხუთე კლასის მოსწავლე თ. მემანიშვილი. მარცვლოვან-პარკოსან კულტურებს — სიმინდს, ლობიოს, სოიას, საცდელ ნაკვეთზე ამუშავებენ მეხუთე კლასის მოსწავლეები შ. აბჟანდაძე, ს. მემანიშვილი და შ. ტიფაძე.

მოსწავლეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კარგი სწავლითა და შრომით ასახელონ თავიანთი სკოლა.

ვ. გაბილაია.

წელს კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობაში საუკეთესოდ მოუარეს ხეხილის ბაღებს, და შედეგიც ჩინებულია. დაიწყო ვაშლის მოსავლის აღება. მოკრიფეს და სახელმწიფოს უკვე ჩააბარეს 55 ტონა ვაშლი. თვითეულ ჰექტარზე იღებენ 150 ცენტნერ ვაშლს ნაცვლად 100 ცენტნერისა.

სურათზე: კოლმეურნე მ. ბატკუაშვილი, რომელიც ვაშლის კრეფის გეგმას ორმაგად ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თვითღირებულების შემცირებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). ამას წინათ აქ შედგა მეშახტეთა ეკონომიური კონფერენცია, რომელიც მოაწყეს პარტიის ტყიბულის რაიკომმა და ტყიბულქვანახშირის ტრესტმა.

კონფერენცია მიეძღვნა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების საკითხებს.

ტყიბულის შახტებში ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. კანდელაკმა. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ტონა სათბობის ღირებულებაზე.

აზრი გამოთქვეს და საყურადღებო წინადადებები წამოაყენეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ნ. ქარქაშაძემ, სტალინის სახელობის შახტის უფროსმა ი. ვოლობუევმა, ამავე შახტის მთავარმა მექანიკოსმა შ. კაკაბაძემ, ლენინის სახელობის შახტის უბნის უფროსმა ა. ცირეკიძემ, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთავარმა მარქშეიდერმა მ. სუშჩევსკიმ და სხვ.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, ტექნიკურ პროგრესს, მკვეთრად შეამცირებს ქვანახშირის თვითღირებულებას.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ყვარლის რაიონში ხვნა ჭიანურდება"

„კომუნისტის" 6 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილი წერილი ეხებოდა ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო ხვნა-თესვის ჩამორჩენას.

პარტიის ყვარლის რაიკომის ბიურომ „კომუნისტის" კრიტიკა სწორად ცნო და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი. ბიურომ მითითება მისცა და მკაცრად გააფრთხილა ახალსოფლის, კუჭატნისა და ჭიკაანის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები შ. მაძღარიშვილი, შ. მაყაშვილი და დ. ჭერაშვილი, რათა უმოკლეს ვადებში გამოასწორონ ჩამორჩენა.

საშემოდგომო ხვნა-თესვის საქმეში ნაკლოვანებების გამოსასწორებლად რაიკომმა მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელმაც მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი ხვნა-თესვის დასაჩქარებლად.

შემოდგომის დღეები კახეთში

თელავის მტს-ის დირექტორის კაბინეტიდან ხმამაღლა ლაპარაკი მოისმოდა. მოსაცდელ ოთახში შეკრებილნი ერიდებოდნენ დირექტორთან შესვლას. იქ რაღაც ცხარე კამათი იყო გამართული. კაბინეტიდან ყრუდ მოისმოდა რომელიღაც აღელვებული თავმჯდომარის ხმა:

— თქვენ ისეთ დღეში მაყენებთ, რომ იძულებული ვხდები ზემდგომ პარტიულ ორგანოს მივმართო.

— ეგ თქვენი ნებაა, — ისმოდა დირექტორის დამშვიდებული ხმა.

— მაშ ეს არის საქმე? ჯერ ახალი ვენახის გასაშენებლად პლანტაჟი მე არ მომიმზადებია, თქვენ კი გაგიციათ ბრძანება ტრაქტორი მეზობელ კოლმეურნეობაში უნდა გადაიტანოთო.

— ამხანაგო, ეგ ტრაქტორი ორივე კოლმეურნეობას ემსახურება. თქვენ მარტო თქვენი გეგმის შესრულება გაინტერესებთ. მტს-ს კი ყველა კოლმეურნეობის მომსახურება აქვს დაკისრებული.

— მაშ ასე გამოდის, რომ ჯერ სხვამ უნდა შეასრულოს თავისი გეგმა, მე კი მას მივჩანჩალებდე კუდში. ასეთი ტრაქტორი ჩვენს გარდა ხომ სხვა კოლმეურნეობასაც აქვს?

— რა გიყოთ, ამხანაგო! ჩვენი მტს-ის ზონაში ცამეტი კოლმეურნეობაა, „სტალინეც-80" მარკის ტრაქტორი კი სულ ოთხი გვაქვს, თუ ერთიმეორეს არ მოვეხმარეთ, მაშინ დანარჩენმა კოლმეურნეობებმა რაღა ქნან?

— მოსთხოვეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ინებონ და მეტი ტრაქტორი მოგვცენ. მარტო პლანტაჟის მომზადება ხომ არა გვაქვს ჩამორჩენილი, საშემოდგომო ხვნა-თესვა გაჩაღებულია. ექვსას ჰექტარამდე ფართობი მაშ ერთი „დტ-54"-ით და ორი „კდ-35"-ით შეგვიძლია მოვხნათ და დავთესოთ?

გაცხარებულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაავლო ქუდს ხელი და სასწრაფოდ გავიდა სამუშაო ოთახიდან. დირექტორი კი გამწარებული იდგა ფეხზე, შუბლზე გამოყრილ ოფლის წვეთებს ცხვირსახოცით იწმენდდა და თან აღელვებული შემოგვჩივლებდა:

— განა ტყუის ეს ამხანაგი. მაგრამ რა ვუყოთ? ჩვენი მტს-ი ისე არ არის აღჭურვილი მექანიზმებით, რომ ყველას მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილოს. ახალ ტრაქტორებს იშვიათად გვაძლევენ, სათადარიგო ნაწილებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უბრალო რკინა რა არის, ხშირად ჩვენს სახელოსნოს ისიც კი არა აქვს, რომ დაზიანებული ტრაქტორის ესა თუ ის ნაწილი გამოვჩარხოთ.

— მით უმეტეს ახლა, როცა ყველა სამუშაო ერთნაირად არის მოწოლილი, — ჩავურთეთ ჩვენ.

— დიახაც. აბა, წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა: ახლა გაჩაღებულია საშემოდგომო ხვნა-თესვა, სიმინდის მოსავლის აღება და სილოსის ჩადება, ვაზის გასაშენებლად პლანტაჟის მომზადება, რთველი...

ტელეფონმა დარეკა. დირექტორმა ყურმილი აიღო:

— დიახ, მე ვარ. რა ვქნა, აღარ ვიცი, ამხანაგო მდივანო. სათესლე ხორბლის კონდიციამდე აყვანის საკითხზე თვითონ თქვენც მრავალჯერ გააფრთხილეთ, მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაინც აჭიანურებს თესლის შემმოწმებელ ლაბორატორიაში ნიმუშების წარდგენას... კარგი იქნება, თუ მოვამზადებთ საკითხს ბიუროსათვის... დიახ, საშემოდგომო ხვნაში გვაქვს სერიოზული ჩამორჩენა... როგორ ვაპირებთ თავის დაღწევას? მოგახსენებთ. „კდ-35" მარკის ტრაქტორებს ვენახებიდან ხვნაზე გადავიყვანთ, ახლა მაინც ვენახში ტრაქტორებს ვერ შევუშვებთ, საშიშია... რა თქმა უნდა... როგორ გეკადრებათ, გეგმა აუცილებლად შესრულდება.

რაიკომის მდივანთან რომ საუბარი დაამთავრა, მტს-ის დირექტორი მიუბრუნდა უფროს ინჟინერ-მექანიკოსს და სასწრაფო დავალება მისცა:

— ახლავე მოძრავი სახელოსნო მიაშველე რუისპირის კოლმეურნეობაში მომუშავე სატრაქტორო ბრიგადას, ორი ტრაქტორი გაჩერებულა. ნაწილები გასტეხიათ, შედუღებაა საჭირო, რაიკომის მდივანმა დარეკა.

როდესაც მარტონი დავრჩით, დირექტორმა შემოგვხედა, ჩაფიქრდა და, თითქოს რჩევას გვთხოვსო, გვითხრა:

— დილას, ჯერ გათენებულიც არ იყო, ერთმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბინაზე დამირეკა. მეტად აღელვებული იყო, ლაპარაკზე შევამჩნიე. ასაღელვებელი კი მართლაც აქვს. ამ კოლმეურნეობამ გადაწყვიტა აეშენებინა მეძროხეობის მექანიზებული ფერმა. მშენებლობა დაკვირით ტემპით გააჩაღეს. კედლების ამოყვანა უკვე დაამთავრეს, მაგრამ ხე-ტყის მასალის უქონლობის გამო გაჩერდნენ.

— მერე და ვინ ამარაგებს ხე-ტყის მასალით კოლმეურნეობებს?

— ცეკავშირის ხე-ტყის ადგილობრივი ბაზა. მაგრამ მას ვარგისი მასალა არ მოსდის. თუ მიიღებენ რამეს, იმასაც ისე მცირე რაოდენობით, რომ თითო კოლმეურნეობას ოთხი-ხუთი კუბმეტრი თუ შეხვდება. მარტო ამ კოლმეურნეობას კი საძროხისათვის ასი კუბმეტრი მასალაც არ ეყოფა.

— ეს საკითხი თუ დაგიყენებიათ ზემდგომ ორგანოებში?

— თვითონ თავმჯდომარეები აყენებენ ამ საკითხს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. ეს კიდევ არაფერი, მტს-ი ვალდებულია მექანიზებული ფერმის მონტაჟი თავისი ძალებით ჩაატაროს. ჩვენ კი საამისოდ არც სპეციალისტები გაგვაჩნია და არც მასალები მოგვეპოვება.

— გამოდის, რომ რაიონში მექანიზებული საძროხის მოწყობა შეუძლებელია!

— სრულებითაც არა. მხოლოდ საჭიროა ერთი სამონტაჟო ბრიგადა კვალიფიციური სპეციალისტებით და ოსტატებით იყოს მოვლინებული, და ამ საქმეს იოლად დავძლევთ.

დირექტორის ამ საყურადღებო შენიშვნებმა ღრმად ჩაგვაფიქრა. იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს შენიშვნები მიაღწევენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებამდე და მაშინ... მაშინ ვნახოთ.

* * *

წელს კახეთს გაზაფხული ერთი თვის დაგვიანებით ესტუმრა. ესტუმრა და თავისი დაღიც დაამჩნია.

ალაზნის ველზე გაშიმულ საკოლმეურნეო ზვრებში ვაზი გვიან გაიფოთლა და გვიან დაყვავილდა. ამის გამო შხამ-ქიმიკატებით შეწამვლის ოპერაციებიც ზოგან მოგვიანებით ჩატარდა. მიუხედავად ამისა, ვენახები, კარგად დამუშავების შედეგად, თანდათანობით წელში გასწორდა, გულისგასახარად დაიხუნძლა მტევნებით.

რთველი გაჩაღდა. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დიდი ფუსფუსია. დაიწნა გოდრები და კალათები, გაკეთდა კასრები, შეკეთდა მარნები, ქვევრები, გასუფთავდა ვენახებში მიმავალი გზები.

რთველი, კახელი კოლმეურნეების გულის ყველაზე მეტად გამხარებელი, დიდი შემოქმედებითი შრომის ჰეშმარიტი დღესასწაულია.

შარშან რუისპირის, კურდღელაურის, წინანდლის, აკურის, ქვემოხოდაშნის და ბევრი სხვა სოფლის კოლმეურნეობებმა ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. წელს ნაკლებად როდი გამოიყურებიან საკოლმეურნეო ზვრები და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი ვენახები. ისინი ბარაქიან მოსავალს აძლევენ გამრჯე კოლმეურნეებს, რომელთა მადლიანმა მარჯვენამაც ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლო ვაზის თვითეულ ძირს.

ყველგან მონდომებით მოემზადნენ რთველისათვის. მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში იგრძნობა რაღაც მოწყენილობა.

რით არის ეს გამოწვეული?

— დასაფარავი აქ არაფერია, — განმარტავს მოწყენილობის მიზეზს გამოცდილი მოხუცი მევენახე მიხა გერგიშვილი სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან, — ჩვენს კოლმეურნეობას 200 ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს. აქედან 130 ჰექტარი სრულმოსავლიანია. წელს ვვარაუდობდით თვითეულ ჰექტარზე სულ ცოტა საშუალოდ 70 ცენტნერი ყურძენი მოგვეღო, ახლა კი...

მოხუცს გაუჭირდა წინადადების დამთავრება. ჩვენ კითხვა მივაშველეთ:

— როგორ, ახლა ვეღარ მიიღებთ? რა გიშლით ხელს?

— სეტყვამ დაგვაზარალა, შვილო, სეტყვამ, — მოგვიჭრა მოხუცმა და განაგრძო, — დაგვაზარალა არა მარტო ჩვენ, არამედ დააზარალა რუისპირის, იყალთოს, ვარდისუბნის, ნაწილობრივ კურდღელაურის და ნაფარეულის კოლმეურნეობათა ვენახებიც. რთველისათვის მზადება გაჩაღებული გვქონდა, უცბად ცა ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილით ჩვენს ზვრებს გადაუარა, ცერის სისხო ყინულის კაკლები ჩამოყარა და შემოსული ყურძნის მტევნები მიწაზე დამარცვლა. განა რა გაუჭირდათ ჩვენს მეცნიერებს სეტყვის საწინააღმდეგო საშუალებაც რომ გამოეგონებინათ?

— აკი მუშაობენ კიდეც ჩვენი მეცნიერები ამ პრობლემაზე!

— მუშაობენ თუ არ მუშაობენ, მე ეგ არ ვიცი. ისე კი რომ აგვიანებენ, ეს ფაქტია. მეოთხე წელიწადია, რაც ჩვენი ვენახები სისტემატურად ისეტყვება. ამით სახელმწიფოს და ხალხს ყოველწლიურად მილიონობით მანეთი ზარალი მოსდის. თუ ჩვენი მეცნიერები მეტ მონდომებას გამოიჩენენ, მალე გამოიგონებენ ისეთ მანქანას, რომელიც სეტყვის ღრუბლებს გაფანტავს ან მოსალოდნელ სეტყვას წვიმად აქცევს. ახლა ხომ, როგორც ამბობენ, ატომის ეპოქაში ვცხოვრობთ, არაფერი არ უნდა გაგვიჭირდეს.

ძია მიხას საყვედური ჩვენი მეცნიერების მიმართ სამართლიანად გვეჩვენა. ალბათ, სულ მოკლე ხანში შეიქმნება ისეთი დანადგარი, რომელიც კახელ მევენახეებს დაიცავს სეტყვის საფრთხისაგან.

მიუხედავად სერიოზული ზარალისა, რაც სეტყვამ კონდოლელებს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს მიაყენა, მათ ქედი არ მოუხრიათ ბუნების სტიქიის წინაშე. მათი მტკიცე გადაწყვეტილებაა მიაღწიონ ყურძნის გეგმიან დავალებათა შესრულებას, სამშობლოს მისცენ მეტი ხარისხოვანი ყურძენი, რომლის მასალიდან მიღებული სამარკო ღვინოები დაამშვენებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სუფრას.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად სულ უფრო და უფრო ფართოვდება მევენახეობა ალაზნის ველზე. მარტო მიმდინარე შემოდგომაზე თელავის რაიონში ახალი ვენახი გაშენდება ოთხას ჰექტარ ფართობზე.

ახალი ვენახების გაშენება, არსებული ზვრების კეთილმოწყობა მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს. ამის აუცილებლობას თვითონ ცხოვრება გვიკარნახებს. კოლმეურნეები მართლაც შესანიშნავად უვლიან როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ვენახებს. შედეგსაც კარგს აღწევენ. ყოველწლიურად დიდდება ყურძნის მოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე. ის უფრო მეტად გაიზრდებოდა, სათანადო რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოები დროზე რომ მოაწესრიგებდნენ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ი. ბროზ ტიტომ მიიღო ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაცია

ბელგრადი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, გუშინ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მიიღო წევრები ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი.

მიღებას დაესწრნენ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი უგლეშა დანილოვიჩი, ბულგარეთის ელჩი ბელგრადში ლიუბომირ ანგელოვი და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სოფიაში მიტა მილკოვიჩი.

პრეზიდენტ ტიტოს საუბარმა დელეგაციის წევრებთან ერთ საათს გასტანა.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მოლაპარაკება

ბელგრადი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). ტანიუგის სააგენტო იუწყება, რომ 7 ოქტომბერს საღამოს ბელგრადში გამოქვეყნდა ცნობა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შესახებ.

1956 წლის 6 და 7 ოქტომბერს, ნათქვამია ცნობაში, იუგოსლავიაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციის ყოფნის დროს მოეწყო იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა შეხვედრები.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ალექსანდრე რანკოვიჩი და მოშა პიადე, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები მიიალკო ტოდოროვიჩი და უგლეშა დანილოვიჩი და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი დობრივოე ვიდიჩი; ბულგარეთის მხრივ — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გიორგი ჩანკოვი და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები რუბენ აბრამოვი და დიმო დიჩევი.

აზრთა გულახდილმა და ამხანაგურმა გაზიარებამ, რომელიც ამ შეხვედრების დროს მოხდა, ნათქვამია ცნობაში, ცხადყო, რომ არის როგორც პირობები, ისე ორმხრივი სურვილი და შეთანხმება განაგრძონ ამ შეხვედრების დროს დამყარებული კონტაქტი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და ბულგარეთის კომპარტიას შორის და მიიღონ შემდგომი ღონისძიებანი ორ პარტიას შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის პირადი კონტაქტების გზით — დელეგაციების გაცვლით, პარტიული მუშაკების სტუმრობით, პარტიული ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების გაცვლით.

შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ ეს კონტაქტები და თანამშრომლობა, რომლებიც დამყარებულია თანასწორუფლებიანობაზე, ურთიერთ პატივისცემასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე, განხორციელდება აზრთა თავისუფალი გაზიარებით იმ საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ, აგრეთვე სოციალიზმის მშენებლობაში გამოცდილების გაზიარებით და ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის ხალხთა ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას სოციალიზმის მშენებლობისა და მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ორი პარტიის წარმომადგენლებმა რწმენას გამოთქვამენ, რომ ასეთი ურთიერთობა და თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ორი ხალხის ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის შემდგომ განვითარებას და კეთილსასურველ გავლენას მოახდენს ორივე ქვეყნის ურთიერთობას ყოველმხრივ განვითარებაზე.

ერთსა და იმავე დროს ანალოგიური ცნობა მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნდა სოფიაში.

ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

ამსტერდამი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის გუშინდელ საღამოს და დღევანდელ დილის სხდომებზე გრძელდებოდა პაულ დე გროოტის და ჰენკ ჰუკსტრას მოხსენებათა განხილვა. სულ მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 40 კაცმა.

კამათის მონაწილენი ეხებოდნენ პარტიის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს, შეჰქონდათ ბევრი ძვირფასი წინადადება და შესწორება ყრილობის გადაწყვეტილებათა პროექტებში. კამათი მიმდინარეობდა სრული ერთსულოვნებისა და დიდი აღმავლობის ვითარებაში.

ორივე მოხსენების გამო საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჰენკ ჰუკსტრამ. ყრილობაზე წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც მიღებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდონეზიის, ინდოეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ნორვეგიის, ისლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ალბანეთის, ბულგარეთის, დანიის, რუმინეთის კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან.

ყრილობამ შემდეგ ერთხმად მოიწონა საერთო რეზოლუცია.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 30 ივნისის დადგენილებისადმი „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ" და ორგანიზაციული საკითხებისადმი. ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა, ეთანხმება რა პოზიციას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დაიკავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიმართ, სრულ სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებას და ეს დოკუმენტი მიაჩნია როგორც პიროვნების კულტის მიზეზებისა და შედეგების სწორი და დამაკმაყოფილებელი ანალიზი".

ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაოს პარტიის ახალი წესდების პროექტი და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად შემდეგ ყრილობას.

დასასრულ ყრილობამ მოისმინა და განიხილა გაზეთ „დე ვაარჰეიდის" რედაქტორის მარკუს ბაკერის მოხსენება პარტიის ცენტრალური ორგანოს მუშაობის შესახებ და მიიღო ამ მოხსენების გამო შესაბამისი გადაწყვეტილება. სამანდატო კომისიის მოხსენების თანახმად, ყრილობას ესწრებოდა 336 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 75 დელეგატი სათათბირო ხმით.

დღეს საღამოს და ხვალ გაიმართება ყრილობის დახურული სხდომები, რომლებზეც, კერძოდ, აირჩევენ ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას.

დამთავრდა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

ამსტერდამი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ამსტერდამში მუშაობა დაამთავრა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ.

ყრილობის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა დიდი აღმავლობისა და ერთსულოვნების ვითარებაში. ყრილობამ ბევრი მისალმება მიიღო სხვა ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან. ყრილობის სხდომებს ესწრებოდა უცხოეთის მოძმე პარტიების ბევრი წარმომადგენელი.

თავმჯდომარე ჰენკ ჰორტზაკმა ყრილობაზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის დეპეშა, რომელშიც იგი მხურვალე მადლობას იხდის ყრილობაზე მიწვევისათვის და სინანულს გამოთქვამს, რომ ჰოლანდიაში შესასვლელი ვიზების მიცემაზე ჰოლანდიელ ხელისუფალთა უარის გამო დელეგაციის წევრები ვერ დაესწრნენ ყრილობას.

ჰენკ ჰორტზაკმა დაგმო ჰოლანდიელ ხელისუფალთა არადემოკრატიული მოქმედება და რწმენა გამოთქვა, რომ ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შეუშლის ხელს კომუნისტთა საერთაშორისო სოლიდარობას. ჰორტზაკის ამ სიტყვებმა ყრილობის მონაწილეთა მქუხარე ოვაცია გამოიწვია. ყრილობამ მიიღო ტექსტი საპროტესტო დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა ჰოლანდიის მთავრობას იმის გამო, რომ ხელისუფლებმა უარი უთხრეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას ჰოლანდიაში შესასვლელი ვიზების მიცემაზე.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე არჩეულ იქნა ახალი შემადგენლობა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელშიც შევიდა 31 კაცი.

გერმანიის კომპარტიის განცხადება საარის საკითხზე

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საარის ოლქისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით ერთად იბრძოლონ საარის საკითხზე შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც ფედერალურ კანცლერ ადენაუერსა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ გი მოლეს შორის დაიდო.

კომპარტიის განცხადებაში, რომელიც ადნ-ის სააგენტომ გადასცა, კერძოდ, ნათქვამია: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველგვარი გადაწყვეტილება საარის ოლქის მომავლის შესახებ შეიძლება გამოიტანოს, პირველ რიგში, თვით საარის მოსახლეობამ. ამიტომ წინადადებას ვიძლევით, რომ საარის ახალი სტატუტი, რომელიც მიღებულია ადენაუერისა და გი მოლეს შეთანხმებით, აგრეთვე გადაეცეს სახალხო კენჭისყრელად.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საარის პრობლემის საბოლოო მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ, ერთი მხრივ, ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საარის ოლქის მთავრობებს, და, მეორე მხრივ, საფრანგეთის მთავრობას შორის შეთანხმების გზით. გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს გერმანიის მთელ დემოკრატიულ ძალებს, ყველა გერმანელ პატრიოტს ერთობლივად იბრძოლონ საარის საკითხზე საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმების განხორციელების წინააღმდეგ.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადება

ვაშინგტონი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სპეციალური განცხადება, რომელიც წარმოადგენს პასუხს დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის სტივენსონის წინადადებაზე წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ამერიკელ ამომრჩეველზე აშკარად ნავარაუდევი განცხადება ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „თანმიმდევრულად" ადასტურებდნენ თავიანთ „მხურვალე მისწრაფებას" შეზღუდონ და კონტროლი გაუწიონ ატომგულის იარაღის გამოცდასა და გამოყენებას და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განზრახვა აქვს „კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლოს იმისათვის, რომ შეიარაღების ტვირთი შეუმსუბუქდეს არა მარტო რამდენიმე ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხსაც". ამასთან, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ატომური იარაღის გამოცდა იყო და კვლავ არის „აუცილებელი" ნაწილი „თავდაცვის" ამერიკული პროგრამისა.

ეიზენჰაუერი თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოვალეობაა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის შეიარაღების წარმოებას, მის გამოცდასა და გაუმჯობესებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს 10 საათსა და 37 წუთზე ნიუ-იორკის დროით (17 საათსა და 37 წუთზე მოსკოვის დროით) გაიხსნა უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა სუეცის საკითხის შესახებ. სხდომაზე პირველმა სიტყვა წარმოთქვა ეგვიპტის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ფავზიმ.

ეგვიპტის წარმომადგენელმა უარყო ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა მტკიცება, თითქოს სუეცის არხის ყოფილი კომპანიის ნაციონალიზაციამ „საფრთხე" შეუქმნა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. მან დამსწრეთ მოაგონა, რომ სწორედ ინგლისი და საფრანგეთი არხის ნაციონალიზაციის შემდეგ ემუქრებოდნენ ეგვიპტეს ძალის გამოყენებით. ამგვარი მუქარა გაისმის უშიშროების საბჭოს ახლანდელ სხდომებზეც კი.

ეგვიპტის წარმომადგენელმა გაილაშქრა ინგლის-საფრანგეთის რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც შეიცავს ეგვიპტის მიერ უარყოფილ წინადადებებს. ფავზიმ შეიტანა წინადადება შეიქმნას კომიტეტი მოლაპარაკებისათვის სუეცის საკითხის სამართლიანი და მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. კომიტეტი უნდა ეცადოს შექმნას სუეცის არხის ეგვიპტის ადმინისტრაციისა და არხით მოსარგებლეთა შორის თანამშრომლობის სისტემა ეგვიპტის სუვერენიტეტისა და უფლებების, აგრეთვე არხით მოსარგებლეთა ინტერესების დაცვის საფუძველზე.

სხდომაზე შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა.

სსრ კავშირის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ საბჭოს დილის სხდომა დაიხურა. უშიშროების საბჭოს დღის სხდომა დაიწყება 15 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით (22 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით).

მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზის გაზეთების ცნობებით, გუშინ სამხრეთ მაროკოში მოხდა სერიოზული მღელვარება, რისი საბაბიც გახდა საფრანგეთის ჯარების გადაყვან-გადმოყვანა. გაიგეს რა, რომ ქალაქ აგადირში უნდა ჩავიდეს სენეგალიელი მსროლელების რაზმი, რომელიც საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის, ქალაქების აგადირის, მოგადორისა და ტარუდანტის მცხოვრებლებმა შეუდგნენ ყველა გზატკეცილზე მრავალი ბარიკადის აგებას. მოგადორსა და აგადირში მოსახლეობამ გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც დღეღამეზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

გაზეთი „პარიზიენ ლიბერე" იუწყება, რომ აგადირისა და მაროკოს სხვა სამხრეთ ქალაქების ამბებთან დაკავშირებით საფრანგეთის ელჩი რაბათში დიუბუა და მაროკოში საფრანგეთის ჯარების სარდალი გენერალი კონიი შეხვდნენ მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბალაფრეჯს. მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხრეთ მაროკოში საფრანგეთის ჯარების გადაყვანის დროებით შეწყვეტის შესახებ.

პოზნანის პროვოკაციის მონაწილეთა ჯგუფს განაჩენი გამოუტანეს

ვარშავა, 8 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პოზნანში სავოევოდო სასამართლოში დამთავრდა პოზნანის 1956 წლის 28 ივნისის ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაციის მონაწილეთა ჯგუფის სასამართლო პროცესი.

სასამართლომ დაადასტურა ბრალდებულთა ი. ფოლტინოვიჩის, კ. ჟურეკის, ე. სროკას დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროების თანამშრომლის ზ. იზდებსკის ცემაში, აგრეთვე სახელმწიფო ქონების ძარცვაში. სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულ ი. ფოლტინოვიჩს 4 წლისა და 6 თვის პატიმრობა, კ. ჟურეკს — 4 წლის და ე. სროკას — 4 წლისა და 6 თვის პატიმრობა.

პოლონელი კინომუშაკები თბილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ კვირაზე მეტია, რაც საქართველოში იმყოფებიან ვარშავის დოკუმენტალური ფილმების სტუდიის მუშაკები — რეჟისორები ეჟი გოფმანი და ედვარდ სკუჟევსკი, ოპერატორი ვაცლავ ფლერკოვსკი, მსახიობი ალინა ობოლნიაკი.

ამ დღეებში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა პოლონელ სტუმრებს მოუწყეს შეხვედრა. სტუმრებმა დამსწრეთ აჩვენეს მათ მიერ ვარშავის დოკუმენტალური ფილმების სტუდიაში შექმნილი მოკლემეტრაჟიანი სატირული და პუბლიცისტური ფილმები „ყურადღება-ხულიგნები!", „ვარშაველი ალპინიზმი", „შენ ხომ არა ხარ მათ შორის?" და „ბავშვები ბრალს სდებენ". განმარტებებს რუსულ ენაზე იძლეოდა რეჟისორი ე. გოფმანი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფილმმა „ყურადღება — ხულიგნები!". როგორც ავტორებმა განაცხადეს, ამ ფილმში გადაღებული არიან არა მსახიობები, არამედ იმ ბანდის წევრები, რომელიც ვარშავაში ნამდვილად არსებობდა. ამჟამად მისი წევრები გამოსწორებული არიან და პატიოსან შრომას ეწევიან.

ფილმს „ყურადღება — ხულიგნები!" დიდი წარმატება ხვდა. 1955 წელს პოლონეთში მოწყობილ კინოფილმების ფესტივალზე მან პირველი პრემია მიიღო.

საქართველოში პოლონელი კინომუშაკები იღებენ დოკუმენტალურ ფილმს „კავკასიის გზებზე". მანამდე ისინი გადაღებას აწარმოებდნენ სომხეთის სს რესპუბლიკაში. ფილმში ნაჩვენები იქნება მოძმე ხალხების ცხოვრება, მათი ისტორიული წარსული, ზნე-ჩვეულებები, ხელოვნება.

საქართველოში მათ უკვე გადაიღეს მცხეთის, თელავისა და წინანდლის ღირსშესანიშნაობანი. მთავრდება აგრეთვე თბილისის ამსახველი კადრების გადაღება.

— ჩვენ აღფრთოვანებული ვართ საქართველოს ბუნებით, მისი ხალხით, განსაკუთრებით კი იმ მზრუნველობით, რომელსაც ჩვენს მიმართ აქ იჩენენ, — განაცხადეს პოლონელმა სტუმრებმა.

თბილისის კინოსტუდიაში მათ უჩვენეს ქართული ფილმი „მაგდანას ლურჯა". — შესანიშნავი სურათია, — თქვა ედვარდ სკუჟევსკიმ. — როგორც ჩვენთვის ცნობილია, პოლონეთში ამ დღეებში დაიწყება ამ ფილმის ჩვენება. დარწმუნებული ვარ, რომ პოლონელი მაყურებელი მას დიდი ინტერესით ნახავს.

თბილისიდან პოლონეთის კინომუშაკები ბათუმში გაემგზავრებიან.

ა. სამსონია.

• • •

სურათზე: პოლონეთის კინოხელოვნების მუშაკები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის.

ფოტო გ. სამსონაძისა.

სპორტის ამბები

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება

მას შემდეგ, რაც თბილისის დინამოელებმა მოიგეს საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში სოფიელ თანაკლუბელებთან, ინტერესი თბილისელთა მორიგი გამოსვლისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. გუშინ თბილისის დინამოელებმა [illegible]-ში გამართეს მორიგი შეჯიბრება. ამჯერად ისინი შეხვდნენ ბულგარეთის ფეხბურთელთა ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს „სპარტაკს". შეჯიბრება, რომელიც საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა, დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

მატჩები თბილისში

ოქტომბერსა და ნოემბერში თბილისში მოეწყობა მორიგი შეხვედრები ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა" და „ბ" კლასის გუნდებისათვის, აგრეთვე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.

უკანასკნელ შეხვედრებს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი გამართავს თავის მოედანზე. ამ მატჩებიდან პირველი იქნება შეჯიბრება ერევნის „სპარტაკთან", რომელიც შედგება 14 ოქტომბერს. არმიელი ფეხბურთელები მატჩებს გამართავენ აგრეთვე იჟევსკის „ზენიტთან", სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის „ავანგარდთან", ქ. მოლოტოვის გუნდთან და გორკის „ტორპედოსთან".

პირველ საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი გამართავს თბილისში 22 ოქტომბერს ფინეთის კლუბ „ვაასთან".

თბილისის დინამოელთა უკანასკნელი მატჩი თავიანთ მოედანზე სსრ კავშირის პირველობაზე, რომელიც დანიშნული იყო 14 ოქტომბერს, გადატანილია 16 ოქტომბრისათვის.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

კიშინიოვი. 9 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკისა" და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდები. შეხვედრა მოიგეს კიშინიოველმა ფეხბურთელებმა 3:2.

„ბ" კლასი

კრასნოდარი. 9 ოქტომბერი. დღეს თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები კრასნოდარში შეხვდნენ ადგილობრივ „ნეფტიანიკს". 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აუკრძალა კოლმეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეებსა და დანარჩენ მოქალაქეებს, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებს თამბაქოს თავისუფალი გაყიდვა, სანამ შესრულდებოდეს 1956 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

შემოდგომის დღეები კახეთში

(დასასრული)

მევენახეობის ზოგიერთ საჭირბოროტო პრინციპულ საკითხს.

მევენახეობის ბრიგადების ხელმძღვანელები და მერგოლურები ახლავე მწვავედ აყენებენ მოთხოვნებს:

— ჩვენს ვენახებს წელს გაცილებით მეტი ყურძენი შეეძლოთ მოეცათ, მთლიანად შპალერზე რომ გვქონოდა გადაყვანილი.

— საჭირო რაოდენობით მოგვეცით ბოძები, სარები, მავთული და მოგვთხოვეთ ყურძნის მოსავლიანობის ერთიორად გადიდება.

როდესაც ბრიგადირ გიორგი ლეშკაშელის ვენახები მოვიარეთ, სავსებით დავრწმუნდით აღნიშნული მოთხოვნების სისწორეში.

ამ ბრიგადის ვენახის ფართობზე, რაც 20 ჰექტარს აღემატება, გაშენებულია ძვირფასი ჯიშები: კაბერნე, მწვანე, საფერავი და რქაწითელი. ვაზი გადაყვანილია შპალერზე, მავთული მხოლოდ ორ წვერად არის გაბმული, ეს ორი წვერიც დამაგრებულია მწკრივის თავსა და ბოლოს ჩასობილ ორ ბოძზე, შუაში კი პამიდორის შესადგმელ ჭიგოებზეა მიკრული დამაგრების მიზნით. ეს ჭიგოები ოდნავი ნიავის დროსაც კი ვერ იმაგრებენ მტევნებით დახუნძლულ ვაზებს. ასეთ პირობებში, გარდა იმისა, რომ დანაკარგები ერთიორად იზრდება, ვაზიც კნინდება, მომავლისათვის რქები უზიანდება, რაც, თავისთავად ცხადია, გავლენას ახდენს მოსავლიანობის გადიდებაზე.

როგორც კი რთველი დამთავრდება, მაშინვე იწყება ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. ამიტომ ახლავე მთელი სერიოზულობით უნდა დაისვას საკითხი მევენახეობის კოლმეურნეობების მოსამარაგებლად საკმაო სარ-ბოძებით და მავთულით.

— ჩვენ მარტო ეს საკითხი როდი გვაწუხებს, — ამბობს გამოცდილი მევენახე ავქსენტი სილაგაძე. — არის მეორე არანაკლები მნიშვნელობის საკითხი, კერძოდ ცხენის გუთნების წარმოების საკითხი. ცნობილია, რომ ჩვენ ბევრი გვაქვს ძველად გაშენებული ვენახები, რომლებსაც ტრაქტორით ვერ ვხნავთ მწკრივების სივიწროვის გამო. აქ ცხენის გუთნები შეგვაქვს. სამწუხაროდ, ომისშემდგომ წლებში რატომღაც შეწყვიტეს ცხენის გუთნების გამოშვება. მაშ როგორ ვხნათ? ამ კითხვაზე არავინ იძლევა პასუხს. სად ვიშოვნოთ ასეთი გუთნები? ამ საკითხს მოწესრიგება ესაჭიროება.

ეს და ბევრი სხვა საკითხი კანონიერად აღელვებს დღეს კახელ მევენახეებს. ურიგო არ იქნებოდა დაინტერესებულიყვნენ ამ საკითხით, ვისაც ეს ეხება.

• • •

შემოდგომა გამართული ნაბიჯით შემოჭრილა კახეთში. ბევრგან საადრეო ყურძენი კარგა ხანია მოიკრიფა, მიდის სიმინდის მტვრევა, საშემოდგომო ხვნათესვა. კოლმეურნეობებს შედგენილი აქვთ კალენდარული გეგმები, მასობრივად გაჩაღდა რთველი, ყველა კოლმეურნეს მიჩენილი აქვს თავისი სამუშაო უბანი. ყურძენმა მოიხმო ისინი საკრეფად. ოქროსფრად მოელვარე რქაწითელის მტევნები სიხარულით ალავსებს კოლმეურნეთა გულებს...

—კეთილი იყოს შენი მობრძანება, 1956 წლის ბარაქიანო შემოდგომავ, გაისმის ვერხვების ფოთლების შრიალში ვიღაცის ომახიანი ხმა...

არ. კოკილაშვილი.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 11 ოქტომბრისათვის

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — რუსული საბალეტო მუსიკა, 12.15 — რუს კომპოზიტორთა პიესები ჩელოსათვის, 12.45 — ქართული სიმღერები გიორგი ბულაძის შესრულებით.

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

17.20 — საბჭოთა საესტრადო მუსიკის კონცერტი, 17.45 — გადმოცემა ახალგაზრდობისათვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ, 18.15 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, 18.35 — გადმოცემა მოსწავლეთათვის, კორეული ხალხური ზღაპარი „ჯადოსნური წიგნი", 19.20 — ვალსები, 19.40 — რადიოსადგურებით — გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით—კონცერტი ციკლიდან „საბჭოთა კამერული მუსიკა", 20.00 — ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის" ტრანსლაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

სომხურ ენაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის" მიმოხილვა, 18.15 — უკანასკნელი ცნობები, 18.30 — კონცერტი, 18.40 — ლიტერატურული გადმოცემა.

აზერბაიჯანულ ენაზე

20.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.45 — კონცერტი.

ქ. თბილისში მტრედების მოშენებისა და დაცვის შესახებ

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მასობრივად მტრედების მოშენების მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა

1. ნება მიეცეს საქართველოს „მონკავშირს" მოაწყოს ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამტრედე ბუდეები და აწარმოოს მტრედების გამრავლება დიდი რაოდენობით.

2. აიკრძალოს ქ. თბილისის ტერიტორიაზე „მონკავშირის" მეურნეობის მტრედების მოკვლა, დაჭერა და მათი გადაბირება.

3. მეთვალყურეობა ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს საქართველოს „მონკავშირს", ქ. თბილისის მილიციის ორგანოებს, სახლმმართველებს და სახლების კომენდანტებს.

4. ამ გადაწყვეტილების მეორე მუხლის დამრღვევთ ადმინისტრაციული წესით დაედებათ ჯარიმა 100 მანეთამდე.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის 10 დღის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ა. მელაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი — შ. ბაქრაძე.

დღეს თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის**— მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — მარადიული სიყვარული, **სომხური დრამის** — სამეული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთი ღამის შეცდომები, **ფილარმონია** — საესტრადო კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.), ი. აპტეკარევის კონცერტი (რუსთაველის საკონცერტო დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ფილარმონიის ბაღი** — 300 წლის წინათ, **ამირანი** (საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — სხვადასხვა ბედი, **კომკავშირელი, კოლხიდა** (საზამთრო და საზაფხულო), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, ოფიცერთა სახლი** — ყალბი ფული (I და II სერია), **დიდუბე** (საზამთრო და საზაფხულო) — ბატონი 420 (I და II სერია), **კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ბატონი 420 (II სერია).

შვილები დავით, ილია, აკაკი, რძლები თინა, ნორა, თინა, მარიამ, ლიზა რობაქიძე იუწყებიან

ტასო გაბრიელის ასულ რობაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-X, 4 ს. ქვიშხეთში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

თბოტექნიკის განყოფილება — უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 1 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთ შემოაქვთ განცხადება ინსტიტუტის დირექციის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები (ორ-ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მინიჭების დიპლომის (ატესტატის) პირები, დამოწმებული დადგენილი წესით, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება, სამეცნიერო შრომების სია, რეცენზიები ამ შრომებზე და მთავარი დაბეჭდილი შრომები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელ. 3-72-10.

შვილები ნაზი, ჰაჭიკო, ვიქტორ, რძლები ნინო, შურა, მერი დოლიძეები, სიძეები შ. მოქაია, თ. ცანავა ოჯახებით იუწყებიან

ვარდო ამბაკოს ასულ დოლიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-X სოფელ ძირგანახლებაში (ჩოხატაურის რ.).

მეუღლე ალექსანდრა, შვილები ზინა, გენო, კარლო, ძმები ფილიმონ, გალაქტიონ, პოლიო, სიძე ვალერიან ოჯახებით იუწყებიან

ივანე გიორგის-ძე კაჭარავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-X სოფელ გორაბერეჟოულში (ჩოხატაურის რ.).

უე 07139 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.